განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

*დანართი №1*

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

## ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

## შპს ათასწლეულის სკოლა

შეფასების თარიღ(ებ)ი
2022 წლის 11 ივლისი და 12 ივლისი

დასკვნის წარდგენის თარიღი
2022 წლის 11 აგვისტო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: Gulnara Khaburzania 01010013197 Digitally signed by Gulnara Khaburzania Date: 2022.08.11 21:19:32

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება | შპს ათასწლეულის სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 204528699 |

| ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს: | |
|---|---|
| დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | კი |
| საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | კი |
| საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | კი |
| საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | არა |
| საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | არა |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ქ. თბილისი |
| იურიდიული მისამართი | ქ. თბილისი, ფერმწერთა ქუჩა 109 |
| ფაქტობრივი მისამართი | ქ. თბილისი ფერმწერთა ქუჩა 109 |
| საფოსტო ინდექსი | 0186 |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | www.millennium-school.org |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | info@millennium-school.org |
| დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი | +(995)591 889 849 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:  თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა   --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)** | ლაშა ტყეშელაშვილი |
| ტელეფონის ნომერი/ფაქსი | +(995)599847882 |
| ელ-ფოსტა | l.tkeshelashvili@millennium-school.org. |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი | სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 14/06/2022 წლის ბრძანება MES 1 22 0000635909 |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 11.07.2022-12.07.2022წწ. |
| ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი) | გულნარა ხაზურზანია |
| წევრი (სახელი, გვარი) | თამარ მიდელაშვილი |

## IV. ვიზიტის შეჯამება

### ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი/ქვესტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ☒ | ☐ |
| 1.1 | სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | **მუხლი 6/ პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 1.2 | სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, | **მუხლი 6/ პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | უნარები და ღირებულებები | | | |
| 1.3 | სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | **მუხლი 6/ პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 1.4 | სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 1.5 | შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 1.6 | შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |
| **2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ☒ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებკონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.2 | საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.1.3 | სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | **მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)** | ☒ | ☐ |
| 2.1.4 | სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | **მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.2. | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | მუხლი 7 / პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 2.3 | სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | მუხლი 7 / პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 2.4 | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | მუხლი 7 / პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 2.5 | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | მუხლი 7 / პუნქტი ე) | ☒ | ☐ |
| 2.6 | სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | მუხლი 7 / პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა) | ☒ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ) | ☒ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ) | ☒ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ) | ☒ | ☐ |
| 2.6.5 | კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | | | |
| 2.7 | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | მუხლი 7/ პუნქტი ზ) | ☒ | ☐ |
| 2.8 | შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | მუხლი 7/ პუნქტი თ) | ☒ | ☐ |
| 2.9 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა | მუხლი 7/ პუნქტი ი) | ☒ | ☐ |
| **3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | მუხლი 8 | ☒ | ☐ |
| 3.1 | სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | მუხლი 8 / პუნქტი ა) | ☒ | ☐ |
| 3.2 | სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | მუხლი 8 / პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 3.3 | სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | მუხლი 8 / პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 3.4 | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | მუხლი 8/ პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 3.5 | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | მუხლი 8/ პუნქტი ე) | ☒ | ☐ |
| 3.6 | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | მუხლი 8/ პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.*

| სტანდარტი | საგანმანათლებლო პროგრამები | ხარვეზი |
|---|---|---|
| ქვესტანდარტი | 1.1. | ............. |
| | 1.2. | ............... |
| | | |
| სტანდარტი | მატერიალური რესურსი | |
| ქვესტანდარტი | 2.2. | ............... |
| | | |
| | | |
| სტანდარტი | ადამიანური რესურსი | |
| ქვესტანდარტი | | |
| | | |

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.*

| სტანდარტი | საგანმანათლებლო პროგრამები | რეკომენდაცია |
|---|---|---|
| ქვესტანდარტი | 1.1. სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის | • საათობრივი ბადის დამტკიცება უნდა მოხდეს სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებისას, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:  თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | *მისიიდან და შესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას* | *რამდენადაც საათობრივი ბადე არის მისი შემადგენელი ნაწილი;*<br>• *2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო გეგმის პროექტში სავალდებულო საგნის სწავლება მოვიდეს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში, კერძოდ: დაცული იყოს ეროვნული სასწავლო გეგმის მუხლი 23 პუნქტი 4 ან ცვლილება შეთანხმებული იყოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან;*<br>• *სტანდარტის უკეთ დაკმაყოფილების მიზნით რეკომენდებულია სასკოლო სასწავლო გეგმაში არჩევითი საგნების დაკონკრეტება, რასაც ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მუხლი 23 პუნქტი 2.* |
| | *1.2. სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები* | • *გადაიხედოს მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულების 1.3. პუნქტი და შესაბამისობაში მოვიდეს სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ რემედიაციის პროგრამასთან;*<br>• *სტანდარტის უკეთ დაკმაყოფილების მიზნით შემაჯამებელი დავალებების აღდგენის ვადები და მისი ჩატარების ფორმა განისაზღვროს სასკოლო სასწავლო გეგმით ეროვნული სასწავლო გეგმის მუხლი 32 პუნქტი 11-ის შესაბამისად.* |
| | *1.3. სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო* | *სასკოლო სასწავლო გეგმაში შინ სწავლების მექანიზმი აღწერილია მხოლოდ სსსმ მოსწავლისთვის. სტანდარტის უკეთ დაკმაყოფილების მიზნით რეკომენდებულია სასკოლო სასწავლო გეგმით განისაზღვროს შინ სწავლების მექანიზმი ნებისმიერი მოსწავლისთვის და არა მხოლოდ სსსმ* |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | *საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის* | *მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის 39-ე მუხლის შესაბამისად.* |
| | *1.4. სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად* | *სტანდარტის უკეთ დაკმაყოფილების მიზნით რეკომენდებულია მოსწავლის აკადემიური შეფასების დონის განსაზღვრისას ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ,,6“ და ,,5“ როგორც თანაბარი ,,საშუალო“ დონის შეფასება, რამდენადაც ,,6’’ ქულა სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულია კლასის დაძლევის ბარიერად, როგორც დადებითი შეფასება(2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო გეგმის მიხედვით).* |
| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | | *...............* |
| | *2.3. სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით* | *წიგნები სრულად არ არის აღრიცხული საინვენტარო ჟურნალში და ელექტრონულ კატალოგში. სტანდარტის უკეთ დაკმაყოფილების მიზნით რეკომენდებულია დაწესებულებამ სრულად აღრიცხოს წიგნადი ფონდი და გააფორმოს ხელშეკრულება პერიოდიკის მომწოდებელ ორგანიზაციებთან.* |
| | *2.6.5.კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი* | *დაწესებულების სრულ პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობა არ ხდება. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ მიიღო რეკომენდაცია 2 მაღალი პიქსელის ვიდეო კამერის შეძენისა და მისი გარე პერიმეტრზე, ხოლო შიდა პერიმეტრზე (კიბის უჯრედებისთვის) 9 ვიდეოკამერის დამონტაჟების თაობაზე. დაწესებულებამ წარმოადგინა მხოლოდ 7 ვიდეოკამერის შესყიდვის დოკუმენტაცია.* |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | *თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს* | *სტანდარტის უკეთ დაკმაყოფილების მიზნით რეკომენდებულია დარჩენილი 4 ვიდეოკამერის დამატება სკოლის სრულ ტერიტორიაზე ვიდეომეთვალყურეობის განხორციელებისთვის.* |
| | *2.7. სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები* | *რეკომენდებულია დოკუმენტისათვის ბრძანების მინიჭებისას უფრო ზუსტად განისაზღვროს ბრძანების საფუძველი: კერძოდ სკოლის დებულების ცვლილების შესახებ 2022 წლის 25 თებერვლის ბრძანების* N1-27 *საფუძველი ვერ იქნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი ბრძანება N41/ნ/01-23/ნ ,,ზოგადსაგანმანთლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტნადარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო* |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | | დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების სივრცის(კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ დამტკიცების შესახებ. |
| სტანდარტი | ადამიანური რესურსი | |
| ქვესტანდარტი | 3.1. სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საშტატო განრიგის თანახმად, სკოლას ჰყავს სამეურნეო მენეჯერი, რომელიც სკოლის სტრუქტურის აღწერაში არ გვხვდება. თუმცა მისი ფუნქცია-მოვალეობა აღწერილი იყო სკოლის დებულებაში. გარდა ამისა, საშტატო განრიგით განსაზღვრულია 1 ფსიქოლოგი, სტრუქტურის მიხედვით ფსიქოლოგი და ფსიქოლოგთა გუნდი. ხელშეკრულება გაფორმებული იყო 3 ფსიქოლოგთან; ასევე საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერი, რომელიც სტრუქტურაში ბიბლიოთეკართან ერთად არის განსაზღვრული. საშტატო განრიგის და სკოლის დებულების მიხედვით საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერი და ბიბლიოთეკარი ცალ-ცალკე ერთეულებს წარმოადგენენ, ხელშეკრულებით ბიბლიოთეკარს და IT სერვისის სპეციალისტთან გაფორმებულია ერთი ხელშეკრულება.<br>სტანდარტის უკეთ დაკმაყოფილების მიზნით რეკომენდებულია შესაბამისობაში იქნას მოყვანილი სკოლის სტრუქტურის, საშტატო განრიგის და დებულების მიხედვით გაწერილი სტრუქტურული ერთეულები. |
| | 3.2. სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და | სტანდარტის უკეთ დაკმაყოფილების მიზნით რეკომენდებულია დაწესებულებამ მასწავლებელთა შერჩევა განახორციელოს კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ: |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | *ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად* | *საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N174/ნ, 20.08.2019წ. ბრძანების - ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ - მე-3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტების შესაბამისად.* |
| | | |

## VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი | შპს ათასწლეულის სკოლის საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს:<br>✓ <u>**ათასწლეულის სამეცნიერო ჟურნალი**</u><br>ათასწლეულის სამეცნიერო ჟურნალი წარმოადგენს სკოლის ასაკის მკითხველზე მორგებულ სამეცნიერო სტილის ჟურნალს, რომელშიც გამოქვეყნებულია სკოლის მოსწავლეების მიერ ჩატარებული კვლევები ფიზიკაში, ქიმიასა და ბიოლოგიაში. ჟურნალის მთავარი ამოცანებია: სკოლის მოსწავლეებში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართ ინტერესისა და ცნობიერების ამაღლება, კვლევითი და ანალიტიკური უნარების განვითარება, მოსწავლეების წახალისება სამეცნიერო კვლევებში ჩასართავად და საბაზისო სამეცნიერო ცოდნის მისაღებად. სარედაქციო საბჭოს წევრები არიან საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებელები და დაინტერესებული მოსწავლეები;<br>✓ <u>**ერთი დღე - ერთი პრობლემა**</u><br>2021-2022 სასწავლო წლიდან, IX-X კლასებში მოსწავლეები, გარდა გაკვეთილებისა, კვირაში ერთი დღე ერთვებიან საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ერთეულში ,,ერთი დღე ერთი პრობლემა”. ერთეული სრულად არის კვლევაზე და პრობლემაზე დაფუძნებული და მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მეტი პრაქტიკული გამოცდილების დაგროვებით გაიუმჯობესონ ლაბორატორიაში მუშაობის უნარ-ჩვევები, პრაქტიკის მეშვეობით გაიღრმაონ ცნებების გააზრებები, უკეთ დაინახონ კავშირი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და ყოველდღიურობას შორის და მეტად დაინტერესდნენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით. ერთეულის ფარგლებში, მოსწავლეების მთლიანი სასწავლო დღე დაეთმობა სამეცნიერო პრობლემის გადასაჭრელად თანამშრომლობით ფორმატში მუშაობას.<br>✓ <u>შიდა სასკოლო დასაქმების პროგრამა</u><br>2021 წლის სექტემბრიდან სკოლამ დანერგა ახალი სასწავლო ერთეული, რომელიც გულისხმობს არასაგაკვეთილო დროებში, მოსწავლეების სასკოლო სივრცეში დასაქმებას. პროგრამის ფარგლებში X-XII კლასების მოსწავლეებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სკოლაში გამოცხადებულ ადმინისტრაციული თუ აკადემიური პოზიციების ასისტენტის თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში და კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში დასაქმნდნენ მითითებულ პოზიციაზე ერთი სემესტრის ვადით.<br>✓ <u>დილის შეხვედრები</u><br>ყოველი სასწავლო დღე იწყება დამრიგებელთან 20 წუთიანი შეხვედრით, რომლის მიზანია წინა დღის სასწავლო პროცესის საორგანიზაციო თუ სხვა საკითხების განხილვა და მიმდინარე დღის საქმიანობებზე აქცენტების გაკეთება. შეხვედრები ძირითადად საკლასო დისკუსიის ფორმატში იმართება და თავად მოსწავლეებსაც შეუძლიათ ამ შეხვედრას გაუკეთონ ფასილიტაცია. დილის შეხვედრები კარგი საშუალებაა იმისათვის, რომ მოსწავლეები თვითონ ჩაერთონ საორგანიზაციო საკითხების მართვაში. |

| | |
|---|---|
| დაწესებულების მისია | სკოლის მისიაა თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცის შექმნით, ახალი პროდუქტების შექმნის წახალისებით და ცოდნების გაზიარებით წვლილი შეიტანოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის გაუმჯობესებაში და ღია საზოგადოების ფორმირებაში. |

## VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა | |

## IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა:<br>---630------ | ექსპერტი ეთანხმება<br>☐ | **აღწერა**<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | ექსპერტი არ ეთანხმება<br>☒ | ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება დაწესებულების მიერ მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას (630).<br>ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 457 მოსწავლე. საინვენტარო აღრიცხვით და ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ დაწესებულებას აქვს 505 ერთეული ერთადგილიანი მერხი, 21 ორადგილიანი მერხი, 683 ერთეული სკამი; გარდა ამისა, დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილ იქნა 90 ერთადგილიანი მერხის შესყიდვის დოკუმენტაცია და ხელშეკრულება სასკოლო ინვენტარის შესყიდვის შესახებ. ამდენად, დაწესებულებას ჰქონდა 616 მერხი, 683 სკამი.<br>აქედან გამომდინარე, ვიზიტის პერიოდის ფაქტობრივ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | | მონაცემებზე დაყრდნობით, სკოლის ფართის, საკლასო ოთახებისა და სასკოლო ინვენტარის მიხედვით, დაწესებულებას შეუძლია საგანმანათლებლო მომსახურება გაუწიოს 616 მოსწავლეს. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დამატებით მერხების შეძენის შემთხვევაში სკოლას ექნება შესაძლებლობა მომსახურება გაუწიოს 630 მოსწავლეს, რაზეც თავად დაწესებულება ვიზიტის პერიოდში სრულ მზადყოფნას აცხადებდა. |

## X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

## 1. საგანმანათლებლო პროგრამები

| 1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს ათასწლეულის სკოლა წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებას, რომელშიც სასწავლო პროცესი ხორციელდება სამივე საფეხურზე პირველიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით. ვიზიტის დროს, სკოლაში ირიცხებოდა 457 მოსწავლე. სკოლას შემუშავებული ჰქონდა 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებებით დამტკიცებული ,,ეროვნული სასწავლო გეგმების საფუძველზე.<br>2021-2022 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის სტრუქტურა:<br>**1. სკოლის მისია, მიზნები & ამოცანები:** მისია; მიზნები & ამოცანები; რწმენა-წარმოდგენები;<br>**2. სასწავლო შინაარსი:** საგანმანათლებლო პრინციპები; საგნობრივი ჯგუფები და სასკოლო საათობრივი ბადე; დამატებითი საგანმანათლებლო ერთეულები; დამრიგებელი, კლასი და |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სადამრიგებლო პროგრამა; მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები; ინკლუზიური განათლება;<br>**3. თანამშრომლობის ფორმები სკოლაში:** მასწავლებლებს შორის თანამშრომლობა; სკოლასა და მშობლებს შორის თანამშრომლობა;<br>**4. დროის, სივრცისა და რესურსის ორგანიზება:** დრო; კლასი; საგანმანათლებლო რესურსები; ვირტუალური სასწავლო სივრცე;<br>**5. სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხები:** სკოლაში მოსწავლეთა მიღება; დასწრება; დანართების სია; ლიტერატურის ნაწილი, რომელზეც დაფუძნებულია სასკოლო სასწავლო გეგმა.<br>ჯერ კიდევ ვიზიტის განხორციელებამდე, საავტორიზაციო განაცხადის შემდეგ დაწესებულებამ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტიც.<br>სასწავლო პროცესი მოიცავს 2 სემესტრს, 35 სასწავლო კვირას. თითოეული სასწავლო კვირა არის ხუთდღიანი. სასკოლო კალენდრით გათვალისწინებულია კანონმდებლობის შესაბამისი უქმე დღეები. ასევე საახალწლო, ზამთრის და სააღდგომო არდადეგები. კლასში მოსწავლეთა რაოდენობა არ აღემატება 17-ს.<br>სასკოლო სასწავლო დღე იწყება 9:00 საათზე და სრულდება 17:00 საათზე. თითოეული კლასისათვის დღე შევსებულია სხვადასხვა შინაარსისა და ხანგრძლივობის სასწავლო ერთეულებით. გაკვეთილების დაწყებამდე მოსწავლეებს აქვთ ,,დილის შეხვედრები“ დამრიგებელთან, რომლის მიზანია წინა დღის სასწავლო პროცესის საორგანიზაციო თუ სხვა საკითხების განხილვა და მიმდინარე დღის საქმიანობებზე აქცენტების გაკეთება. შეხვედრები ძირითადად საკლასო დისკუსიის ფორმატში იმართება და მათ ფასილიტაცია შესაძლებელია გაუწიონ თავად მოსწავლეებმაც. გაკვეთილების შემდეგ მოსწავლეები დღის მეორე ნახევარს მეცადინეობას უთმობენ. საგაკვეთილო განრიგის მიხედვით გათვალისწინებულია კვებისთვის განკუთვნილი დრო.<br>ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ დადგინდა, რომ 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა დამტკიცებული იყო 2021 წლის 1 სექტემბერს და მისგან დამოუკიდებლად ერთი კვირის შემდეგ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დამტკიცებული იყო საათობრივი ბადე. ამასთან დაკავშირებით სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ ექსპერტებისგან მიიღო **რეკომენდაცია, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა დამტკიცდეს როგორც ერთიანი დოკუმენტი, რამდენადაც საათობრივი ბადე არის მისი შემადგენელი ნაწილი.** დაწესებულებამ მიიღო რეკომენდაცია და აღნიშნა, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის გაითვალისწინებდნენ ამ რეკომენდაციას.<br>შპს ათასწლეულის სკოლა სარგებლობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათობრივი ბადის III მოდელით. დაწესებულებამ წარმოადგინა საათობრივი ბადის განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმების კორესპონდენცია. აღნიშნული მოდელის თანახმად **საათობრივი ბადის მიხედვით** ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავებულად ისწავლება:<br>✓ პირველი უცხოური ენა(ინგლისური ენა) ყველა კლასში (1-12) გათვალისწინებულია გაზრდილი საათობრივი დატვირთვით, კვირაში 5 სთ;<br>✓ მეორე უცხოური ენა(გერმანული/ფრანგული/ჩინური/რუსული) ისწავლება მე-4 კლასიდან მე-12 კლასის ჩათვლით 3 საათიანი დატვირთვით; მოსწავლეებს შეუძლიათ შეთავაზებულიდან ერთი ნებისმიერი უცხოური ენის არჩევა;<br>✓ საგნის „მე და საზოგადოება“ მიზნების მიღწევა ხდება სკოლაში არსებული დამატებითი სავალდებულო საგანმანათლებლო ერთეულის - “სხვა დღის” ფორმატში. “სხვა დღე” გათვალისწინებულია ყოველ კვირეულად, სულ მცირე 3 საათიანი დატვირთვით და მის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები პროექტებზე დაფუძნებულ სწავლებას გულისხმობს. 2018-2019 სასწავლო წლიდან სკოლას სამინისტროსთან აქვს შეთანხმება “მე და საზოგადოების” ამ სახით სწავლების შესახებ;<br>✓ ქართული ენა და ლიტერატურა: I და II კლასებში ისწავლება კვირაში 6 საათი;<br>✓ საგანი “ჩვენი საქართველო” მე-6 კლასში, ისწავლება კვირეული 2 საათიანი დატვირთვით. “ჩვენი საქართველოს” მიზნების ნაწილი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მიიღწევა როგორც საგნის ფარგლებში, ასევე დამატებით "სხვა დღის" ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებით. „სხვა დღის თემები", რომლებიც ამ კლასშია გათვალისწინებული(მაგ. „ვიზიტი ეთნოგრაფიულ მუზეუმში", "ვიზიტი ხელნაწერთა ინსტიტუტში", "პირველი რესპუბლიკა - პირადი ისტორიები" და სხვ.);<br>✓ „მუსიკა", ასევე „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება", IV-დან IX კლასის ჩათვლით, ისწავლება კვირეული 1 საათიანი დატვირთვით. დაწყებით საფეხურზე სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან სახელოვნებო კლუბებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ „სხვა დღის" (დამატებითი სავალდებულო ერთეული) ფარგლებში დანერგილია პროექტული სწავლების მოდელი და იგეგმება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის ფართოდ ჩართვა, რაც უნარების ტრანსფერის შესაძლებლობას იძლევა. საბაზო საფეხურზე, გარდა გაკვეთილებისა, მოსწავლეებს სასწავლო წლის განმავლობაში უხდებათ მულტიდისციპლინური პროექტების განხორციელება, რომელშიც მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლებიც მონაწილეობენ და ეხმარებიან მოსწავლეებს შემოქმედებით საქმიანობასთან მუსიკასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაში (მაგ: მოსწავლის მიერ გადაღებული ფილმებისათვის მუსიკის შერჩევა და ხმის დადება);<br>✓ I-IV კლასებში ზოგადი ფიზიკური აღზრდის გაკვეთილისათვის გამოყოფილია 2 საათი. გაკვეთილების გარდა მოსწავლეებს აქვთ საშუალება ჩაერთონ სასპორტო აქტივობებში. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვანი კლუბების არჩევას სპორტის სხვადასხვა სახეობაში;<br>✓ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები/ კომპიუტერული ტექნოლოგიები (II-IV) კლასებში ნაცვლად ესგ-თი შემოთავაზებული 1 საათისა, ისწავლება 2 საათიანი დატვირთვით. აღსანიშნავია, რომ საგნის ფარგლებში ესგ-ს სტანდარტით გათვალისწინებულის გარდა, ხდება დამატებითი კომპეტენციების განვითარება (პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული მიდგომა, რომელიც გულისხმობს ამოცანების არა მხოლოდ ციფრულად, არამედ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

პრაქტიკულად გადაჭრის გზებსაც პროგრამირების იდეებზე დაყრდნობით). შესაბამისად, გამოყენებული რესურსები უფრო მრავალფეროვანია და გულისხმობს არა მხოლოდ კომპიუტერთან მუშაობას, არამედ ხშირად ფიზიკური მოდელების აგებასა და დატესტვას;

✓ საბუნებისმეტყველო საგნების შემთხვევაში (ფიზიკა, ბილოგია, ქიმია) უზრუნველყოფილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული აუცილებელი საათობრივი დატვირთვა. ამასთან სამ კვირაში ერთხელ თითოეულ საგანში იგეგმება სასწავლო ერთეული ,,ერთი დღე ერთი პრობლემა“, რომელიც ითვალისწინებს შესაბამის კვირაში ნაცვლად 2 საათისა, 8 საათიან დატვირთვას. მოდელი წარმოდგენილია ცხრილში:

| საგნები | I | II | III | საშუალოდ კვირაში საათების რაოდენობა საგნების მიხედვით |
|---|---|---|---|---|
| ბიოლოგია | 2+6 | 2 | 2 | 4 |
| ფიზიკა | 2 | 2+6 | 2 | 4 |
| ქიმია | 2 | 2 | 2+6 | 4 |

2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში საგანი ,,სამოქალაქო განათლება“ ისწავლებოდა მე-7, მე-8, მე-9, მე-10 კლასებში. თუმცა საათობრივ ბადეში მეშვიდე კლასში აღნიშნულ საგანზე საათი არ იყო გათვალისწინებული. როგორც ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ დადგინდა, საათობრივ ბადეში დაშვებული იყო ტექნიკური შეცდომა. რაც დასტურდება კათედრის ოქმით, რომელშიც განხილული და შერჩეული იყო მოქალაქეობის სახელმძღვანელო, მასწავლებლის საათობრივ დატვირთვაშიც იყო ასახული საგანი. რაც შეეხება 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტს. საგანი მოქალაქეობა ისწავლება მე-7,8,9 და მე-12 კლასებში, ხოლო მე-10 და მე-11 კლასებში გათვალისწინებულია პროექტული სწავლება. თუმცა როგორც ვიზიტის პერიოდში სკოლის წარმომადგენლებმა განაცხადეს,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ეს არის მხოლოდ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, რომელშიც შესაძლოა განხორციელდეს ცვლილება სასწავლო წლის დაწყებამდე მისი გაუმჯობესების მიზნით.<br>2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო გეგმის მიხედვით მე-12 კლასში ისწავლებოდა სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება, თუმცა უკვე 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში ,,სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება“ წერია, მაგრამ საათობრივი ბადიდან ამოღებულია(იხ. დანართი N1). ამასთანავე <u>სამინისტროსთან შეთანხმებული საათობრივი ბადის განმარტებებში აღნიშნული საგნის ამოღების თაობაზე არ არის ინფორმაცია.</u> შესაბამისად, დაწესებულებამ სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით, მიიღო <u>რეკომენდაცია, საგნის ,,სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება“ სწავლება მოვიდეს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში, რეკომენდებულია დაცული იყოს ეროვნული სასწავლო გეგმის მუხლი 23 პუნქტი 4 ან ცვლილება შეთანხმებული იყოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან.</u><br>ათასწლეულის სკოლა მოსწავლეებს ,,კომპიუტერულ აზროვნებას“ სთავაზობს დამატებით სავალდებულო საგნად მე-7 და მე-8 კლასებში.<br>XI კლასში განსაზღვრული საგანი ,,საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით ისწავლება XII კლასში. ამასთან დაკავშირებით სკოლის წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ რამდენადაც პანდემიის მიზეზით კლასის მოსწავლეების დიდი ნაწილი მიმდინარე სასწავლო წელს ირჩევდა დისტანციურ სწავლებას, გამონაკლისის სახით, ამ თაობისთვის (2021-2022 სასწავლო წლის მეთერთმეტე კლასელებისათვის) მიზანშეწონილად მიიჩნიეს საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე დასწრებით ფორმატში გააცნონ მოსწავლეებს საგნის შინაარსი და მისი პრაქტიკული ნაწილი, რომელიც გულისხმობს ავტომობილის მართვის კომპონენტის ათვისებასაც.<br>გარდა ამისა, 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო გეგმის პროექტის მიხედვით, არჩევით საგნად სკოლა მოსწავლეებს მხოლოდ მე-11 და მე-12 კლასებში სთავაზობს შემდეგ საგნებს(2021-2022 სასწავლო წელს პანდემიის პირობების გამო, სკოლას მოსწავლეებისთვის არ ჰქონდა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შეთავაზებული არჩევითი საგანი):<br>• მდგრადი განვითარება#1;<br>• მდგრადი განვითარება#2;<br>• Libri-Magni<br>• სიტყვამ შეცვალა მსოფლიო#1;<br>• სიტყვამ შეცვალა მსოფლიო #2;<br>• ავტომობილის მართვა თეორიული კურსი;<br>• ავტომობილის მართვა პრაქტიკული კურსი;<br>დაწესებულების მიერ წარმოდგენილ 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში არ იყო დაკონკრეტებული არჩევითი საგნები, ისევე როგორც უკვე განხორციელებული 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში. ვიზიტის დროს სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით დაწესებულებამ ექსპერტებისგან მიიღო **რეკომენდაცია ეროვნული სასწავლო გეგმის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე საათობრივ ბადეში არჩევითი საგნების დასახელების თაობაზე,** ასევე თავად სასკოლო სასწავლო გეგმაში უნდა იყოს ამის შესახებ დეტალური ინფორმაცია.<br>ამასთანავე საათობრივ ბადეში (2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში) შეცდომით იყო მოცემული პირველი უცხოური ენის საათობრივი დატვირთვა. განათლების სამინისტროსთან შეთანხმებული საათობრივი ბადისგან განსხვავებით პირველ უცხოურ ენაში ნაცვლად 5 საათისა განსაზღვრული იყოს 3-4 საათი, რაზეც დაწესებულებამ აღნიშნა, რომ იყო ტექნიკური შეცდომა და ვიზიტის პერიოდშივე მოხდა მისი დაკორექტირება.<br>დამატებით საგანამანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ფარგლებში სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სავალდებულო სახით ,,სხვა დღეს“ 1-7 კლასებში და ფაკულტატური სახით სხვადასხვა კლუბს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით: ფეხბურთის კლუბი, დოჯბოლო, კალათბურთი, ტანვარჯიში, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, ფრენბურთი, რობოტიქსი, მკითხველთა კლუბი, თეატრალური წრე, ბგერებით თამაში, კულინარია, ფოტოგრაფია, მონტაჟი &ანიმაცია.<br>სასკოლო სასწავლო გეგმით ასევე განსაზღვრულია ეროვნული |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სასწავლო გეგმით დადგენილი ინკლუზიური განათლების მიდგომები და რეგულაციები.<br>ათასწლეულის სკოლის დოკუმენტაციის შესწავლისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების განხორციელებას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;<br>• სასკოლო სასწავლო გეგმის დანართები;<br>• შპს ათასწლეულის სკოლის დირექტორის 2022 წლის 1 ივლისის წერილი N7-99 საათობრივი ბადის შეთანხმებასთან დაკავშირებით;<br>• საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის წერილი MES 3 22 0000775852 სასკოლო სასწავლო გეგმის საათობრივი ბადის შეთანხმების შესახებ;<br>• ინტერვიურება სკოლის წარმომადგენლებთან; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს ათასწლეულის სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია ყველა ის სასწავლო- სააღმზრდელო ღონისძიება, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის ცოდნისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-განვითარებას. სკოლა ორიენტირებულია სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად გამოიყენოს მრავალფეროვანი მეთოდოლოგიური მიდგომები და შექმნას მოსწავლეებისთვის მიმზიდველი საინტერესო საგანმანათლებლო გარემო, რომელზეც პასუხიმგებლობა ერთნაირად აქვს აღებული სკოლის ყველა სტრუქტურულ ერთეულს მისი ფუნქცია-მოვალეობის შესაბამისად. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლაში ფუნქციონირებს 12 კათედრა: 1)ქართული ენა და ლიტერატურა I-VI კლასები; 2) ქართული ენა და ლიტერატურა VII-XII კლასები; 3) მათემატიკა I-IV კლასები; 4) მათემატიკა V-XII კლასები; 5) პირველი უცხოური ენა I-XII კლასები; 6) მეორე უცხოური ენა IV-XII კლასები; 7) ბუნებისმეტყველება I- IV კლასები; 8) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები V-XII კლასები; 9) საზოგადოებრივი მეცნიერებები III-XII კლასები; 10) კომპიუტერული აზროვნება I-XII კლასები; 11) სპორტი I-XII კლასები; 12) ესთეტიკური აღზრდა I-VII კლასები;<br>კათედრები თავის საქმიანობას წარმართავენ ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, ეროვნული სასწავლო გეგმის, სასკოლო სასწავლო გეგმის, სკოლის შინაგანაწესის და ათასწლეულის სკოლის დებულების საფუძველზე. კათედრები კოორდინირებულად თანამშრომლობენ როგორც კათედრის შიგნით, ასევე სხვა კათედრებთან ინტეგრირებული გაკვეთილების ერთობლივად დაგეგმვა/განხორციელების მიზნით, ასევე გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით.<br>სკოლის მიერ წარმოდგენილი იყო თემატური გეგმები, ჩატარებული სამუშაოს ანგარიშები. სკოლა მოსწავლეთა ცოდნის შემოწმების მიზნით იყენებს შემაჯამებელ დავალებებს ღია და დახურული კითხვებით, თუმცა ამავდროულად გამოიყენება კომპლექსური ტიპის დავალებები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა შემაჯამებელი დავალებების ანალიზი და დადგინდა, რომ შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ნაწილი ინფორმაციულია, თან ახლავს საგნობრივი სტანდარტი, შეფასების რუბრიკები. თუმცა ზოგ შემთხვევაში ანალიზი უფრო ზოგადი ხასიათისაა, რამდენადაც არის მოსწავლეთა შედეგების სტატისტიკური მიმოხილვა, ზოგ შემთხვევაში არ არის აღწერილი გამოკვეთილი საჭიროებები და მათი დაძლევის გზები, ან იდენტიფიცირებულია პრობლემები, მაგრამ რეკომენდაცია არის ზოგადი (მაგ: მათემატიკა XI კლასი, მუსიკა VII კლასი, გერმანული VI კლასი). ამიტომ ექსპერტების მიერ დაწესებულებამ მიიღო რჩევა <u>შემაჯამებელი დავალებებების ანალიზში დასკვნის საფუძველზე დაიგეგმოს გამოკვეთილი სირთულეების დაძლევის მექანიზმები,</u> |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | კონკრეტული რეკომენდაციები. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას არ წარმოუდგენია კათედრების მიერ წლის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა, შეფასების რუბრიკები. თუმცა, შემაჯამებლის ანალიზებს თან ახლდა შესაბამისი რუბრიკა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში(ასევე 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში) არ არის მითითებული მოსწავლის მიერ გაცდენილი შემაჯამებელი დავალების აღდგენის ვადები. ამიტომ დაწესებულებამ სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით ექსპერტთა მიერ მიიღო რეკომენდაცია-სასკოლო სასწავლო გეგმით განისაზღვროს შემაჯამებელი დავალებების აღდგენის ვადები და მისი ჩატარების ფორმა ეროვნული სასწავლო გეგმის მუხლი 32 პუნქტი 11-ის შესაბამისად.<br>სკოლაში სხვადასხვა სასწავლო აქტივობები ემსახურება მოსწავლეების სწავლა-სწავლების პროცესით დაინტერესებას და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები. სკოლაში წარმატებით ხორციელდება:<br>➢ ერთი დღე - ერთი პრობლემა<br>2021-2022 სასწავლო წლიდან, IX-X კლასებში მოსწავლეები, გარდა გაკვეთილებისა, კვირაში ერთი დღე ერთვებიან საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ერთეულში “ერთი დღე ერთი პრობლემა”. ერთეული სრულად არის კვლევაზე და პრობლემაზე დაფუძნებული და მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მეტი პრაქტიკული გამოცდილების დაგროვებით გაიუმჯობესონ ლაბორატორიაში მუშაობის უნარ-ჩვევები, პრაქტიკის გადააზრებით გაიღრმავონ ცნებების გააზრებები, უკეთ დაინახონ კავშირი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და ყოველდღიურობას შორის და მეტად დაინტერესდნენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით. ერთეულის ფარგლებში, მოსწავლეების მთლიანი სასწავლო დღე დაეთმობა სამეცნიერო პრობლემის გადასაჭრელად თანამშრომლობით ფორმატში მუშაობას; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ➢ <u>შიდა სასკოლო დასაქმების პროგრამა</u><br>2021 წლის სექტემბრიდან სკოლამ დანერგა ახალი სასწავლო ერთეული, რომელიც გულისხმობს არასაგაკვეთილო დროებში, მოსწავლეების სასკოლო სივრცეში დასაქმებას. პროგრამის ფარგლებში, X-XII კლასების მოსწავლეებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სკოლაში ადმინისტრაციული თუ აკადემიური პოზიციების ასისტენტის თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში და კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში დასაქმნდნენ მითითებულ პოზიციაზე ერთი სემესტრის ვადით;<br>➢ <u>რემედიაციის პროგრამა</u><br>რემედიაციის პროგრამაში ჩართვის საშუალება აქვთ მოსწავლეებს, რომლებსაც გარკვეულ მიზეზთა გამო დროებითი, დამატებითი მხარდაჭერა სჭირდებათ. სამიზნე ჯგუფის გამოვლენა ხდება დიაგნოსტიკურ ტესტირებაზე, დამრიგებლისა და საგნის მასწავლებლის შეფასებაზე დაყრდნობით. რემედიაცია აქტიურია როგორც ფიზიკური, ასევე ონლაინ სწავლების დროს; 2021-2022 წელს სკოლაში რემედიაცია მიმდინარეობდა შემდეგი მიმართულებით: ქართული, მათემატიკა, ინგლისური. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით განსაზღვრულია შემდეგი მიმართულებები: წიგნიერება და მათემატიკა. ამასთან დაკავშირებით სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ეს მონაცემები შეიძლება კიდევ შეიცვალოს, რამდენადაც სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტზე მუშაობა ჯერ არ არის დასრულებული.<br>➢ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ინგლისური ენის მხარდამჭერი პროგრამა - English Doctor, ასევე მხარდამჭერი პროგრამა ხორციელდება მეორე უცხო ენების მიმართულებითაც. კერძოდ, იგი მოქმედებს იმ მოსწავლეებისთვის, რომლებმაც შეცვალეს გადაწყვეტილება მეორე უცხოური ენის არჩევანთან დაკავშირებით და გადაირჩიეს საგანი. შესაბამისად, სპეციალური კურსის მიზანია, დაეხმაროს ასეთ მოსწავლეებს დასწრებული გაკვეთილის მიღმა განივითარონ ენობრივი კომპეტენციები და მიიღონ ინდივიდუალური |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | უკუკავშირი რემედიატორი მასწავლებლისგან. ვიზიტის პროცესში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ (პერსონალური მონაცემების დაცვით) წარმომადგენელთან (2021 წლის 6 აპრილს) გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსი(ხელშეკრულება N9-42) და დადგინდა, რომ ხელშეკრულების 1.3 პუნქტის მიხედვით ,,იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე სასწავლო პროცესის დროს გამოავლენს დამატებით ინდივიდუალურ საჭიროებებს, ხოლო წარმომადგენელი მოისურვებს ამ საჭიროების ფარგლებში მოსწავლისათვის დამატებით ქმედების განხორციელებას სკოლის მხრიდან, მშობელს უფლება აქვს, სკოლასთან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე <u>გადაიხადოს შესაბამისი საფასური(დამატების საჭიროების გათვალისწინებით)</u>“ (იხ. დანართი N2). ამ საკითხზე ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან გასაუბრებისას სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ეს პუნქტი 3 წლის წინ იყო ჩადებული ხელშეკრულებაში და დასაკორექტირებელია. მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან გასაუბრებისას ექსპერტთა მიერ დადგინდა, რომ რემედიაციის პროგრამა სრულიად <u>უფასოა</u> მოსწავლეებისთვის. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით ექსპერტებისგან მიიღო <u>რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ გადაიხედოს მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულების 1.3.პუნქტი და შესაბამისობაში მოვიდეს სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ რემედიაციის პროგრამასთან. ვიზიტის დასრულებამდე ხელშეკრულების დაკორექტირებული ფორმა დაწესებულებას არ წარმოუდგენია.</u><br>არაფორმალური განათლების კუთხით სკოლაში სხვადასხვა შემეცნებითი თუ სპორტული აქტივობებია განხორციელებული: კლასის დღესასწაული; კლასის გამოფენა; თამაშები სხვადასხვა სივრცისთვის; ჩვენი პარკი; არქიტექტურა-უცნაური შენობები; უცნაური ყვავილები; სუფთა ხელები; საკლასო ოთახისთვის საჭირო ნივთების დამზადება; ფრანების დამზადება; ჩვენი კინოთეატრი; გასვლითი ,,სხვა დღე“ ზოოტოპიაში; გასვლითი ,,სხვა დღე“ ბატუტ-ცენტრში, ანემონეში; ბიზნეს იდეა და მისი პრაქტიკაში |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | განხორციელება; გასვლითი დღე ,,შოკოლადის მუზეუმი“, კლასის მაკეტის შექმნა; უკრაინის მხარდაჭერა; ხელნაკეთი ნივთებისა და ჰუმანიტრაული დახმარების ყუთების დამზადება უკრაინისთვის; მაგიდის ჩოგბურთი, ფრენბურთის ტურნირი, ხელბურთის ტურნირი, სპორტის ფესტივალი, დასაქმების პროგრამა და სხვა.<br>სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია სასკოლო, საგაკვეთილო და კლასგარეშე აქტივობების შესახებ ინფორმაცია, სადაც ნათლად ჩანს მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი, კმაყოფილება და მოტივაცია. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• კათედრების წლიური ანგარიში;<br>• შემაჯამებელი დავალებები და მათი ანალიზის ფორმები;<br>• სკოლის ვებგვერდი;<br>• მშობელათან გაფორმებული ხელშეკრულება;<br>• გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ ~~ქვესტანდარტი დარღვეულია~~ |

| 1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს ათასწლეულის სკოლის მოსწავლეები უზრუნველყოფილები არიან განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით.<br>სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერის პროგრამები. 2021-2022 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით (ასევე 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით) სკოლაში ფუნქციონირებდა რემედიაციის პროგრამა, რომლის მიზანია დაწყებითი კლასების მოსწავლეებს დახმარება გაუწიოს გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად. რემედიატორ მასწავლებელთან თანამშრომლობით, პროგრამის დაგეგმვასა და განხორციელებაში მონაწილეობას იღებს საგნობრივი კათედრა, დამრიგებელი და ადმინისტრაცია. მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ სკოლის ერთ-ერთი ძლიერი მხარე არის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მოსწავლეებისთვის მხარდაჭერა სწავლის პროცესში.<br>სკოლა ხელმძღვანელობს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ინკლუზიური განათლების მიდგომებით და რეგულაციებით. ასევე შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესში ინტეგრირების წესი.<br>სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია: სსსმ მოსწავლის იდენტიფიცირების მექანიზმები; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის ვადები; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პასუხისმგებელი პირების და ამ გეგმის განხორციელების დანერგვის მონიტორინგი; სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება; სსსმ მოსწავლის აკადემიური შეფასების მიღწევის შეფასების ინსტრუმენტები; სსსმ მოსწავლის გაკვეთილებზე დასწრება და გაცდენების აღრიცხვა. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებაში ირიცხებოდა 3 სსსმ მოსწავლე. სკოლამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და მათი განხორციელების მონიტორინგის შედეგები. სკოლას 2021-2022 სასწავლო წელს ჰყავდა სპეც.მასწავლებელი, თუმცა მასთან გასაუბრება ვერ მოხერხდა(ხელშეკრულების ვადის ამოწურვის გამო). ერთ-ერთი სსსმ მოსწავლის მშობელთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ სკოლა საკმაოდ აქტიურად იყო ჩართული სსსმ მოსწავლის სოციალური, აკადემიური და მისი ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გაუმჯობესების პროცესში. სკოლის ფსიქოლოგთა გუნდი სპეც. მასწავლებელთან ერთად ორი კვირის ინტერვალით აძლევდნენ მშობელს უკუკავშირს მოსწავლის მდგომარეობის შესახებ. მშობელი დადებითად აფასებდა მათ მიერ განხორციელებულ აქტივობებს. ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა ისგ ჯგუფის შეხვედრების ოქმები. სკოლის ინფრასტრუქტურაც სრულად ადაპტირებულია იმისთვის, რომ სსსმ მოსწავლეს გაუწიოს სათანადო საგანამანათლებლო მომსახურება.<br>სასკოლო სასწავლო გეგმაში შინ სწავლების მექანიზმი აღწერილია მხოლოდ სსსმ მოსწავლისთვის. ამიტომ სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით, ექსპერტების მიერ ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა მიიღეს <u>რეკომენდაცია-სასკოლო</u> |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი    თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა   --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სასწავლო გეგმით განისაზღვროს შინ სწავლების მექანიზმი ნებისმიერი მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის 39-ე მუხლის შესაბამისად. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ჩატარებული გასაუბრებების მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და გახორციელებული სასწავლო პროცესით, იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • 2021-2022 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;<br>• სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესში ინტეგრირების წესი;<br>• ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;<br>• ფსიქოლოგის ანგარიში;<br>• ისგ ჯგუფის შეხვედრების ოქმები;<br>• გასაუბრება მოსწავლეებთან და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან;<br>• გასაუბრება პედაგოგებთან;<br>• გასაუბრება ფსიქოლოგთან;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. ხარისხის გაუმჯობესება უკავშირდება სწავლის პროცესს, ხარისხის გაკონტროლება კი - სწავლის შედეგს.<br>განმსაზღვრელ შეფასებაში სკოლა პრიორიტეტს ანიჭებს კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს სახვადასხვა ცოდნის კომპლექსური გამოყენებისკენ. ასევე |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მოსწავლეები, ძირითადად ფასდებიან კომპლექსური დავალებებით შემაჯამებელი დავალებების კომპონენტში.<br>სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: **განმსაზღვრელი და განმავითარებელი.** განმავითარებელი შეფასება მოსწავლეს ეძლევა როგორც მიმდინარე დავალებებში, ისე შემაჯამებელ სამუშაოებში ზეპირი ან/და წერითი ფორმით. უნდა აღინიშნოს, რომ **დაწესებულებას სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს** მე-5 კლასის მოსწავლეთა შეფასების სისტემა, რომლის თანახმად მეხუთე კლასის მოსწავლეების წლიური ქულების გამოყვანა განხორციელდება მინიმალური ოდენობის (ერთი) შემაჯამებელი-კომპლექსური დავალების საფუძველზე.<br>I-IV და V  კლასის პირველ სემესტრში მოსწავლე არ ფასდება ქულებით. ამ კლასებში სემესტრის ბოლოსა და წლის ბოლოს კლასის დამრიგებელმა, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა დაწეროს მოკლე, შემაჯამებელი წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს, რაში სჭირდება მოსწავლეს გავარჯიშება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად.<br>VI-XII კლასებში მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო საგნებში, ხოლო საგნები "სპორტი" V-XII კლასები, ,,საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება" XII  კლასი და არჩევითი საგნები ფასდება მხოლოდ ჩათვლების სისტემით (ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა).<br>VI-XII კლასებში სასკოლო შეფასების სისტემაში გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასების შემდეგი სახეობები: საგნის მიმდინარე და შემაჯამებელი ქულები – სხვადასხვა კომპონენტის ქულები, რომლებსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში; საგნის სემესტრული ქულა – საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში(სემესტრული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, გამოითვლება მისი გათვალისწინებით); საგნის წლიური ქულა – სემესტრული ქულებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. წლიურ ქულაში შეიძლება წლიური გამოცდის ქულაც აისახოს, თუ ასეთი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა   --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გამოცდა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით და სკოლის მიერ განსაზღვრულია, რომ მას გავლენა ექნება საგნის წლიურ ქულაზე; საფეხურის საერთო ქულა – ზოგადი განათლების რომელიმე საფეხურის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) საერთო შეფასება.<br>2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით ბუნდოვანია რა კომპონენტებს მოიცავს მიმდინარე ქულები საკლასოს თუ საშინაოს. ამიტომ ექსპერტთა ჯგუფმა ურჩია სკოლის წარმომადგენლებს სასწავლო გეგმის პროექტში უფრო მკაფიოდ იყოს განსაზღვრული მიმდინარე შეფასებების კომპონენტები.<br>V-XII კლასებში სემესტრის მანძილზე მოსწავლეების შეფასების პროცესი დაფუძნებულია კომპონენტების სისტემაზე. შეფასების კომპონენტებს, სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე, ადგენს კათედრა თითოეული საკლასო საფეხურისათვის. კომპონენტების შინაარსის გარდა, კათედრა განსაზღვრავს თითოეული კომპონენტის წონას. მასწავლებელი სასწავლო წლის დასაწყისში შერჩეულ კომპონენტებს და მათ წონებს აცნობს მოსწავლეს, მშობელს და დამრიგებელს. სემესტრის განმავლობაში მოსწავლეს შეუძლია ელექტრონულ ჟურნალში ხელახლა გაეცნოს შეფასების კომპონენტებს.<br>სკოლაში საგნის სემესტრული და წლიური ქულის გამოანგარიშება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით. აკადემიური შეფასების დონეების მიხედვით შეფასება ,,6“ და ,,5“ 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო გეგმის მიხედვით განისაზღვრებოდა როგორც საშუალო ქულა, თუმცა კლასის დაძლევის ბარიერად განსაზღრული იყო ,,6“ ქულა. აქედან გამომდინარე, სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით, ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ დაწესებულებამ მიიღო **რეკომენდაცია-მოსწავლის აკადემიური შეფასების დონის განსაზღრისას ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ,,6“ და ,,5“ როგორც თანაბარი დონის ,,საშულო“ შეფასება, რამდენადაც ,,6“ ქულა სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულია კლასის დაძლევის ბარიერად.** ამასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ 2022-2023 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით უკვე კლასის დაძლევის ბარიერად განსაზღვრულია ,,5“ ქულა, რაც განპირობებულია პანდემიის პირობების გათვალისწინებით.<br>2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით ათასწლეულის სკოლაში შეიძლება ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები: სემესტრული გამოცდა, საშემოდგომო გამოცდა, ექსტერნატის გამოცდა და გამოსაშვები გამოცდა. მაგრამ 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში ამოღებული იყო გამოსაშვები გამოცდა.<br>სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის, რაც დასტურდება მოსწავლეებთან/მშობლებთან გასაუბრებითაც. შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;<br>• სამინისტროს თანხმობის წერილი (MES 1 22 0000455288) მე-5 კლასის მოსწავლეთა შეფასების შესახებ;<br>• კათედრების წლიური ანგარიში;<br>• შემაჯამებელი დავალებები და მათი ანალიზი;<br>• ელექტრონული ჟურნალი Schoolbook;<br>• გასაუბრება მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან;<br>• გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენელთან. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ათასწლეულის სკოლის შინაგანაწესის მესამე თავით განსაზღვრულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი.<br>დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა შპს ათასწლეულის სკოლაში მშობელთან კომუნიკაციის წესი, რომლითაც განსაზღვრულია მშობლის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | უფლებები; სკოლის საქმიანობის შესახებ მშობლის ინფორმირების საშუალებები; ასევე მშობლების მიერ სკოლიდან ინფორმაციის მიღების წესი.<br>მოსწავლის სწავლაზე პასუხისმგებლობას თანაბრად ინაწილებენ სკოლა, თავად მოსწავლე და მშობელი/სხვა კანონიერი წარმომადგენელი. აქედან გამომდინარე, სკოლა თანამშრომლობს მოსწავლეებთან და მშობლებთან, როგორც პარტნიორებთან მისიისა და მიზნების განხორციელების გზების გასაუმჯობესებლად (მაგალითად, მშობლები სკოლას სთავაზობენ რეკომენდაციებს სასკოლო კვლევების მიმართულებით და სხვა). სკოლის მხრიდან აქტიური თანამშრომლობისათვის მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრები იმართება სემესტრის განმავლობაში. გარდა ამისა, ყოველი სემესტრის ბოლოს იმართება ინდივიდუალური შეხვედრები თითოეული საგნის მასწავლებელსა და მშობელს შორის. შეხვედრაზე მშობელი და მასწავლებელი დეტალურად განიხილავენ სემესტრის განმავლობაში მოსწავლის პროგრესს და გამოყოფენ სამომავლოდ სამუშაო საკითხებს და თანხმდებიან თანამშრომლობის ფორმაზე.<br>სკოლა აწარმოებს ელექტრონულ ჟურნალს (schoolbook), რომელიც მშობელს საშუალებას აძლევს მყისიერად, სკოლაში მისვლის გარეშეც, გაეცნოს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას. მშობლები სრულად ინფორმირებული არიან დამრიგებლის/საგნის მასწავლებლებისგან მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ, რამდენადაც მოსწავლეები ინტენსიურად იღებენ განმავითარებელ შეფასებებს.<br>სემესტრის განმავლობაში სასკოლო გარემოს თუ სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით, სკოლა სხვადასხვა კითხვარების გამოყენებით ცდილობს მშობელთა მოსაზრებებიც გაიგოს და ამ კითხვარების შედეგების ანალიზის საფუძველზე მიიღოს კონკრეტული გადაწყვეტილებები.<br>მშობლებთან, პედაგოგებთან და დირექციასთან ინტერვიურებით დასტურდება, რომ მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;<br>• სკოლის შინაგანაწესი;<br>• ,,ათასწლეულის“ სკოლის დებულება;<br>• ,,შპს ,,ათასწლეულის სკოლაში“ მშობელთან კომუნიკაციის წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ათასწლეულის სკოლის დირექტორის 2022 წლის 14 თებერვლის ბრძანება N1-19;<br>• ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან;<br>• ელექტრონული ჟურნალი schoolbook; |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, ასევე სკოლის გუნდის ახალი წევრის პროფესიული განვითარების პროგრამა. ყოველივე ეს ერთობლიობაში ხელს უწყობს სასკოლო სასწავლო გეგმის ეფექტიანობის შეფასებასა და შემდგომი გაუმჯობესების გზების განსაზღვრას.<br>სკოლაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება ციკლს ,,დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“, რაც თავის თავში მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამებისა და მის განხორციელებასთან დაკავშირებული პროცესების და რესურსების სისტემატიურად შეფასებას, სწავლა-სწავლების ხარისხის, ეფექტურობის და თანასწორი ხელმისაწვდომობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებაზე ორიენტაციას, მოსწავლეთა ინტერესების მუდმივად კვლევას, რათა შეთავაზებულმა სერვისებმა უკეთ უპასუხოს მოსწავლეთა ცვალებად საჭიროებებს.<br>სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებას უზრუნველყოფს შეფასების ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სკოლის დირექტორი, კათედრის ხელმძღვანელები, კლასობრივი კოორდინატორები და |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. შეფასების ჯგუფი ყოველწლიურად შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმას, განსახორციელებელი სამუშაოების და განხორციელების პერიოდის მითითებით. გეგმის მიხედვით ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ხარისხის, ადამიანური რესურსის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასება სასწავლო წლის მანძილზე, ყოველი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ კი უზრუნველყოფს შედეგების შეჯამებას. შეფასების დროს სკოლა ფოკუსირებულია არამხოლოდ არსებული მდგომარეობის გამოვლენაზე, არამედ ახორციელებს წინა შედეგებთან შედარებას, რაც სკოლას საშუალებას აძლევს, გრძელვადიან პერიოდში დაინახოს განვითარების დინამიკა. შეფასების შედეგებზე დაყრდნობით შეფასების ჯგუფი შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რა ნაბიჯები უნდა გადადგას სკოლამ განვითარების მიზნით. რეკომენდაციები გამოიყენება ახალი სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით. შეფასების ცალკეულ ეტაპზე გამოკვეთილი საჭიროების შემთხვევაში, ცვლილება შეიძლება შევიდეს ასევე მიმდინარე სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში. სასკოლო სასწავლო გეგმის ცვლილებას, გარდა ამ დოკუმენტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, შეიძლება საფუძვლად დაედოს ასევე კანონმდებლობაში/ეროვნულ სასწავლო გეგმაში შესული ცვლილებები, მათი შინაარსის გათვალისწინებით.<br>სკოლას განსაზღვრული აქვს სასწავლო მიზნების მიღწევის შეფასების მექანიზმი და ინსტრუმენტები, რომლის მეშვეობითაც წინასწარ იდენტიფიცირებული წყაროებიდან აგროვებს და აანალიზებს მასალას, გამოავლენს ცვლილებების საჭიროებას, სასწავლო მიზნების მისაღწევად.<br>დაწესებულებას შემუშავებული აქვს სხვადასხვა მიმართულებით საკვლევი კითხვარები სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის.<br>სკოლაში დანერგილია გაკვეთილის შეფასების მექანიზმი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი/დამრიგებელი და მასწავლებელი კოლეგიალურად აფასებენ ჩატარებულ გაკვეთილს. ამასთან, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | რეფლექსიის მეშვეობით მასწავლებელი აფასებს ჩატარებულ გაკვეთილს, მიღწეულ შედეგებს, აანალიზებს, რამდენად გაამართლა დაგეგმილმა აქტივობებმა, რამდენად გახდა აქტივობების მოდიფიცირება საჭირო; გამოკვეთს საჭირო ცვლილებებს, რაც უნდა გაითვალისწინოს მომავალი გაკვეთილის დაგეგმვისას.<br>სასწავლო პროცესის გაუმჯობესების პროცესში ჩართულია ასევე საერთაშორისო პროექტების კოორდინატორი, რომელიც ცდილობს თანამშრომლებს გაუზიაროს საერთაშორისო გამოცდილება შესაბამისი ლიტერატურით და რესურსებით. ყოველივე ეს ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვასა და მის შემდგომ დახვეწას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;<br>• ათასწლეულის სკოლის დებულება;<br>• ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;<br>• გაკვეთილების დასწრების ანგარიში;<br>• ათასწლეულის სკოლის გუნდის ახალი წევრის პროფესიული განვითარების პროგრამა;<br>• კათედრის წლიური ანგარიშები;<br>• საერთაშორისო პროექტების კოორდინატორის წლიური ანგარიში;<br>• გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან; |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | |
| რჩევები: | შემაჯამებელი დავალებებების ანალიზში დასკვნის საფუძველზე პედაგოგებმა დაგეგმონ გამოკვეთილი სირთულეების დაძლევის მექანიზმები, კონკრეტული რეკომენდაციები. |
| ხარვეზები: | |
| სტანდარტის შეფასება | ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|

## 2. მატერიალური რესურსი

| 2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | |
|---|---|
| ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: | |
| დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით: | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება შპს ათასწლეულის სკოლა (ს/კ: 204528699) მდებარეობს ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე და საქმიანობას ახორციელებს თანამედროვე, ოთხსართულიან, კეთილმოწყობილ შენობაში, მისამართზე: ფერმწერთა ქუჩა N109 (საკადასტრო კოდი 01.14.16.009.278).<br>მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართი 3398,00 კვ.მეტრია, ხოლო შენობა - ნაგებობის საერთო ფართია 4503,4 კვ.მეტრი.<br>ამავე შენობაში განთავსებული იყო სკოლის საბავშვო ბაღი, რომელსაც სკოლის დირექტორის ბრძანებით დათმობილი ჰქონდა გარკვეული ფართი (ექსპერტთა ვიზიტამდე სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასებით 700 კვ. მეტრი). ექსპერტთა ჯგუფის მიერ სკოლის საერთო ფართის დაზუსტების მიზნით გამოთხოვილ იქნა ბრძანება, დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული ბრძანება, თუმცა დოკუმენტში (2022 წლის 12 ივლისის ბრძანება N 1-35) მაინც არ ჩანდა საბავშვო ბაღისათვის დათმობილი ფართის კვადრატულობა (იხ.დანართი N3).<br>სკოლას ახალი კორპუსის აშენებისა და |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე შეძენილი ჰქონდა კიდევ მიწის ორი ნაკვეთი:<br>1. საკადასტრო კოდი 72.16.21,668 - მიწის ფართობი 1426.00 კვ.მ.<br>2. საკადასტრო კოდი 72.16.17,527 - მიწის ფართობი 5000.00 კვ.მ.<br>სკოლის მიზნები და ხედვა განვითარებასთან დაკავშირებით სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი გეგმის ერთ-ერთ პრიორიტეტულ პუნქტს წარმოადგენს. |
| *ფაქტობრივი მისამართი* | ქალაქი თბილისი, ფერმწერთა ქუჩა N109 |
| *მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი* | N 01.14.16.009.278 |
| *კვ.მ.* | მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობია 3398,00 კვ.მეტრი.<br>შენობა ნაგებობის საერთო ფართია - 4503,4 კვ.მ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | • ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (11/7/2022)<br>• შპს ათასწლეულის სკოლის დირექტორის 2022 წლის 12 ივლისის ბრძანება N1-35 ,,ათასწლეულის სკოლის" საბავშვო ბაღისა და ფრისქულისთვის ფართის გამოყოფის შესახებ" შპს ათასწლეულის სკოლის 2022 წლის 14 თებერვლის N1-11 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ;<br>• შენობების შიდა აზომვითი ნახაზები. |
| შეფასება | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

**ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ვიზიტის პერიოდში შპს „ათასწლეულის სკოლაში“ სწავლობდა 457 მოსწავლე. სკოლას აქვს სრულფასოვანი საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა ნათელი და იზოლირებული, მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული საკლასო ოთახებით, ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის ლაბორატორიებით, ხელოვნების კაბინეტით, სპორტული და სააქტო დარბაზებით, სმარტ ოთახით, უცხოური ენების განაყოფების, სადისკუსიო სივრცისა და შეხვედრების ოთახებით, კეთილმოწყობილი სასადილოთი და რეკრეაციული ზონებით.<br>ყველა საკლასო ოთახი(35 ერთეული) აღჭურვილია სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი სასკოლო ინვენტარით: სასკოლო დაფით, კომპიუტერით ან ლეპტოპით, პროექტორით, კარადით, მასწავლებლის მაგიდით და სკამით, ასაკის შესაბამისი ინდივიდუალური მერხებით(526 ერთეული), ინდივიდუალური სკამებით (სულ 683 ერთეული). გარდა ამისა, ანგარიშფაქტურით დასტურდება, რომ 2022 წლის 4 ივლისს სკოლამ დამატებით შეიძინა 90 ერთეული თანამედროვე ინდივიდუალური მერხი სკამით.<br>სასწავლო პროცესის ეფექტური და ხარისხიანი წარმართვისთვის სკოლა აღჭურვილია შემდეგი მატერიალური რესურსებით: საკონფერენციო მაგიდა (2 ერთეული), სასკოლო დაფა (37 ერთეული), თეთრი მაგნიტური დაფა (50 ერთეული), კორპის დაფა (51 ერთეული), ჭკვიანი დაფა(1 ერთეული), პრინტერი(6 ერთეული), თვალსაჩინოებები და მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებაზე მორგებული სხვა საგანმანათლებლო რესურსები.<br>სასკოლო სივრცეში გამოფენილია მოსწავლეთა ნამუშევრები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• სასკოლო ინვენტარის (მერხები, სკამები, დაფები და სხვა) ფლობის დოკუმენტები:<br>✓ სასაქონლო ზედნადებები;<br>✓ საგადასახადო გადარიცხვის ქვითრები და მიღება-ჩაბარების აქტები;<br>• ჩუქების აქტები. |
| შეფასება: | ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს ,,ათასწლეულის სკოლას“ ფიზიკური აღზრდისა და სპორტისათვის გამოყოფილი აქვს 1 სპორტული დარბაზი, 1 ღია სპორტული მოედანი.<br>შენობის მესამე სართულზე განთავსებული იყო 383,6კვ.მ. კეთილმოწყობილი, დახურული სპორტული დარბაზი გასახდელებითა და საშხაპეებით (როგორც გოგონების, ისე ვაჟებისთვის), ეზოში კი - ღია სპორტული მოედანი რბილი საფარით.<br>სკოლას ჰქონდა სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების სპორტული ინვენტარი: კალათბურთის, ფეხბურთის, ფრენბურთის ბურთები, კალათბურთის ფარები, ფრენბურთის ბადე, 4 ჩოგბურთის მაგიდა კომპლექტით, ბატუტი. დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის პატარა ზომის ბურთები და მთამსვლელის კედელი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• სპორტული ინვენტარის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორიებს სკოლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სკოლის შენობის მესამე სართულზე, ცალ-ცალკე განლაგებული იყო ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის თანამედროვე ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილი იყო სათანადო ინვენტარით და სასწავლო რესურსით. სამივე ლაბორატორიას ჰქონდა ფანჯრები ბუნებრივი ვენტილაციისათვის, გამწოვი, ონკანი ნიჟარით. თუმცა, ქიმიის ლაბორატორიაში მოსწავლეებისთვის გამოყოფილ სამუშაო ადგილებს თან ახლდა ინდივიდუალური ონკანები ნიჟარით. დაცული იყო უსაფრთხოების ნორმები. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | იზოლირებულ, ჩამკეტიან კარადებში ინახებოდა ინვენტარი და რეაქტივები, გამოკრული იყო ლაბორატორიით სარგებლობის წესი.<br>სკოლას შეძენილი ჰქონდა განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს N572 ბრძანებით დამტკიცებული სარეკომენდაციო ჩამონათვალის (ლაბორატორიის სრული აღჭურვილობა, ბიოლოგიის(ანატომიის) მულაჟები, ფიზიკის თანამედროვე მაკეტები და სხვა), რომელსაც წლების განმავლობაში ავსებდა ლაბორატორიული კვლევებისათვის საჭირო ინვენტარით და საგანმანათლებლო რესურსით.<br>ლაბორატორიები პასუხობდა სასკოლო სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს შეიძინონ შესაბამისი ცოდნა და კვლევითი უნარ-ჩვევები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• ლაბორატორიით სარგებლობის წესი;<br>• სასაქონლო ზედნადებები. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს ათასწლეულის სკოლის მენეჯმენტს შექმნილი აქვს ყველა პირობა სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის. ყველა ოთახს აქვს ბუნებრივი განათება და ყველგან დამონტაჟებულია გათბობა-გაგრილების და ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა.<br>ყველა სართულზე გოგონებისა და ვაჟებისათვის ცალ-ცალკე იყო განთავსებული სველი წერტილები (ნიჟარებითა და სენსორული ონკანებით). დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, სველი წერტილი მომარაგებული იყო თხევადი საპნითა და ხელის საშრობი ქაღალდის დისპენსერებით, თავსახურიანი ურნებით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • დენის, გაზის და წყლის გადახდის ქვითრები;<br>• სასაქონლო ზედნადებები. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შენობის პირველ სართულზე განთავსებული იყო დიდი (84 კვ.მ.) და თანამედროვე ბიბლიოთეკა. ერთ სივრცეში არსებული სამკითხველო და წიგნსაცავი აღჭურვილი იყო შესაბამისი ინვენტარით, ტექნიკური საშუალებებით (ინტერნეტში ჩართული 3 პერსონალური კომპიუტერით, 3 პრინტერით) და სხვა დამხმარე მასალებით. შემუშავებული იყო ბიბლიოთეკის დებულება, გამოკრული იყო ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და მუშაობის განრიგი. თაროებზე წიგნები განთავსებული იყო თემატურად, დამუშავებული იყო საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, წიგნები აღრიცხული იყო საინვენტარო წიგნში და ელექტრონული აღრიცხვის ბაზაში. მათი რაოდენობაა 1038 ერთეული. გრიფმინიჭებული წიგნები კლასების და საგნების მიხედვით წარმოდგენილი იყო სრულად. თუმცა რამდენიმე სახელმძღვანელო არ იყო ადგილზე, რაც დაწესებულებამ ვიზიტის დასრულებმადე წარმოადგინა. ყოველწლიურად, მასწავლებლებისა და მოსწავლეების საჭიროების გათვალისწინებით, ხდება ბიბლიოთეკის განახლება. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ წიგნები სრულად არ იყო აღრიცხული საინვენტარო წიგნში და ელექტრონულ კატალოგში. (მაგალითად, რუსული ენის სახელმძღვანელოს ნომერია 1551. იხ. დანართი N4). სკოლას არ ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება პერიოდიკის მომწოდებელ ორგანიზაციებთან.<br>სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით, ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ გაიცა **რეკომენდაცია** იმის შესახებ, რომ სკოლამ სრულად აღრიცხოს წიგნადი ფონდი და გააფორმოს ხელშეკრულება პერიოდიკის მომწოდებელ ორგანიზაციებთან. აღსანიშნავია ისიც, რომ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ბიბლიოთეკის მენეჯერის განმარტების თანახმად, სკოლა 2022-2023 სასწავლო წლისთვის გეგმავს ელექტრონული საბიბლიოთეკო მოდულის დანერგვას, რაც ამავდროულად წარმოადგენდა 2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ პუნქტს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ბიბლიოთეკის მენეჯერის ხელშეკრულება;<br>• წიგნების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები: მიღება-ჩაბარების აქტები, შესყიდვის დოკუმენტები;<br>• ვიზუალური დათვალიერება;<br>• ინტერვიუ ბიბლიოთეკის მენეჯერთან;<br>• საბიბლიოთეკო ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია;<br>• ბიბლიოთეკის დებულება;<br>• დოკუმენტი - ,,ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“;<br>• ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნი;<br>• მკითხველთა ფორმულარები;<br>• ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებაში ყველა პირობა იყო შექმნილი სსსმ მოსწავლისათვის. სკოლას ჰქონდა გარე პანდუსი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იყო შენობაში შესვლა, ყველა სართულზე გადაადგილების საშუალებას იძლევა დამონტაჟებული ლიფტი, ადაპტირებული სველი წერტილები განთავსებული ორ სართულზე როგორც გოგონების, ისე ვაჟებისთვის. აღნიშნული სველი წერტილები შესაბამისი სტანდარტების დაცვითა იყო მოწყობილი და მოსახერხებელია ეტლით მოსარგებლე სსსმ მოსწავლისთვის - აქვს დიდი ფართი ეტლის მოსატრიალებლად და ხელის მოსაჭიდი სახელური. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• მიღება-ჩაბარების აქტები. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ათასწლეულის სკოლას ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად ყველა საჭირო საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალება. სკოლის თანამშრომლებისათვის ხელმისაწვდომია უკაბელო ინტერნეტი. სკოლაში ფუნქციონირებდა კომპიუტერული ლაბორატორია - სმარტ ოთახი, რომელიც აღჭურვილი იყო შესაბამისი ინვენტარით და ტექნიკური საშუალებებით.<br>პროექტორი, კომპიუტერი ან ლეპტოპი ყველა საკლასო ოთახშია და სასწავლო პროცესი წარიმართება ტექნოლოგიების გამოყენებით.<br>ათასწლეულის სკოლის საკუთრებაში იყო შემდეგი ტექნიკური საშუალებები: კომპიუტერი (29 ერთეული), ლეპტოპი (42 ერთეული), პრინტერი (6 ერთეული), ელექტრონული პიანინო.<br>სკოლას ჰქონდა განახლებული და ინფორმაციული ვებ-გვერდი: http://millennium-school.org/, რომელიც შეიცავდა მშობლების, მოსწავლეებისა და სკოლის თანამშრომლებისათვის საჭირო ინფორმაციას.<br>სკოლა აქტიურობით გამოირჩევა სოციალურ ქსელში https://www.facebook.com/millenniumschooltbilisi/ |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვებ-გვერდის და სოციალური ქსელის ვიზუალური დათვალიერება;<br>• ელ. ჟურნალის ვიზუალური დათვალიერება;<br>• მომსახურების ხელშეკრულებები;<br>• საგადახდო დავალებები;<br>• კომპიუტერებისა და ლეპტოპების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
| **ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მიზნით სკოლას შესყიდული ჰქონდა ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. სკოლის მთელ ტერიტორიაზე დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო დეტექტორები.<br>ყველა სართულზე საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ ადგილებში განთავსებული იყო ცეცხლმაქრები (სულ 15 ერთეული). ყველა მათგანზე დატანილი იყო გადამუხტვისა და მოქმედების ვადები.<br>სკოლას ჰქონდა საევაკუაციო გასასვლელი, შედგენილი ჰქონდა უსაფრთხოების სამსახურის დებულებაც და შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი ჰყავდა შრომის უსაფრთხოების მენეჯერი.<br>თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრული იყო საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი (112). |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• სასაქონლო ზედნადებები;<br>• ცეცხლმაქრების დატენვის ქვითრები;<br>• ჩუქების აქტები;<br>• ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების მენეჯერთან. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულების ყველა სართულზე გამოკრული იყო საევაკუაციო გეგმები, რომელიც შესრულებულია სკოლის დაკვეთით სსიპ-საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ. შენობის პერიმეტრზე დამონტაჟებული იყო ,,EXIT“ მაჩვენებლები, რომლებიც მიუთითებს |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გასასვლელზე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• თვალსაჩინო ადგილას გამოკრული საევაკუაციო გეგმები;<br>• ხელშეკრულებები. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში ფუნქციონირებდა სამედიცინო კაბინეტი, რომელიც სრულად პასუხობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამის მოთხოვნებს.<br>ოთახში იყო ბუნებრივი განათებისა და განიავების შესაძლებლობა, სველი წერტილი ნიჟარით. დაცული იყო გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტების შენახვის პირობები და მათი ვარგისიანობა. გამოკრული იყო პირველადი სამედიცინო დახმარების მექანიზმები.<br>კაბინეტში განთავსებული იყო შემდეგი ინვენტარი: სამუშაო მაგიდა, კომპიუტერი, სკამები, შირმა, სასწორი, საათი, სამედიცინო ტახტი, კარადა, მაცივარი, გადასატანი/მობილური ტახტი, კარადა, სადაც განთავსებული იყო პირველადი მოხმარების მედიკამენტები, ელექტრო და მექანიკური სამედიცინო ინვენტარი.<br>ახალი კორონა ვირუსით გამოწვეულ ინფექციის (COVID-19) პრევენციის მიზნით, სკოლას ჰქონდა კოვიდრეგულაციების შესაბამისი დოკუმენტაცია, პრევენციის სამოქმედო გეგმა. სკოლაში პირველ სართულზე განთავსებული იყო საიზოლაციო ოთახი.<br>სკოლას 2021-2022 სასწავლო წელს ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდა ექიმთან, რომელთანაც სასწავლო წლის ბოლოს ხელშეკრულება შეწყდა. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში ექიმის პოზიციაზე გამოცხადებული იყო ვაკანსია. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • სამედიცინო მომსახურის დებულება;<br>• პირველადი სამედიცინო მედიკამენტების და ინვენტარის შესყიდვები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად. სკოლაში შექმნილი იყო ადმინისტრაციის ოთხი თანამშრომლისგან შემდგარი კოლეგიური საბჭო - მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხების განხილვას.<br>ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას ემსახურება სკოლის ფსიქოლოგი.<br>სკოლას ასევე ჰყავდა დაცვის 4 თანამშრომელი და შრომის უსაფრთხოების მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელია სისტემის გამართულობასა და პრევენციული ღონისძიებების გატარებაზე. შრომის უსაფრთხოების მენეჯერი უსაფრთხოების საკითხებზე სამუშაო შეხვედრებს აწყობს როგორც სკოლის პერსონალთან, ისე მოსწავლეებთან. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • პროექტი - ,,შპს ათასწლეულის სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“;<br>• ბრძანება მრჩეველთა საბჭოს შექმნის თაობაზე;<br>• ფსიქოლოგთან ხელშეკრულება;<br>• შრომის უსაფრთხოების მენეჯერთან გაფორმებული ხელშეკრულება;<br>• დაცვის თანამშრომლებთან ხელშეკრულება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის ძირითადი ნაწილის კონტროლი ხორციელდებოდა ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის მეშვეობით. კამერების პარამეტრები შეესაბამებოდა 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. სკოლაში სულ 36 უსაფრთხოების კამერა იყო(ნაწილი მათგანი დამონტაჟებული იყო საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე).<br>დაწესებულების გარე პერიმეტრი კონტროლდებოდა ვიდეო მეთვალყურეობის მაღალი პიქსელის კამერებით (7 ერთეული), თუმცა, დაწესებულების სრულ პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობა არ ხდებოდა. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია დამატებით 2 მაღალი პიქსელის ვიდეო კამერის შეძენისა და მისი გარე პერიმეტრზე, ხოლო შიდა პერიმეტრზე (კიბის უჯრედებისთვის) 9 ვიდეოკამერის დამონტაჟების თაობაზე.<br>ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა დამატებით 7 შიდა პერიმეტრის ვიდეოთვალის შესყიდვის დოკუმენტაცია.<br>სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ გაიცა რეკომენდაცია სკოლის სრულ ტერიტორიაზე ვიდეომეთვალყურეობის განხორციელებისთვის დამატებით 4 ვიდეოკამერის დამატების შესახებ.<br>ვიდეო ჩანაწერის ჩვენება ხდება მონიტორზე, რომლის მუშაობას მუდმივად აკვირდება სპეციალურად გამოყოფილი პირი - დაცვის თანამშრომელი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • სათვალთვალო კამერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;<br>• სასაქონლო ზედნადებები;<br>• შრომითი ხელშეკრულება დაცვის თანამშრომლებთან. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს ათასწლეულის სკოლას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული ჰქონდა **წესდება,** რომელიც წარმოადგენდა იურიდიული პირის სარეგისტრაციო დოკუმენტს.<br>სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მომწესრიგებელი ძირითადი დოკუმენტი სკოლის დებულებაა, რომელიც დამტკიცებული იყო სკოლის დირექტორის მიერ (2018 წლის 30 აგვისტოს N1-09 ბრძანებით, ხოლო 2022 წლის 25 თებერვალს N1-27 ბრძანებით აღნიშნულ დებულებაში განხორციელებული იყო ცვლილებები. იხ დანართი N5). დებულებაში ასახული იყო სკოლის სტატუსი, საქმიანობის საგანი, საქმიანობის მიზანი, სკოლის სტრუქტურა და მართვა, სტრუქტურული ერთეულების/თანამშრომლების ფუნქციები და მოვალეობები, მასწავლებელთა, მშობელთა და მოსწავლეთა ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტისა და მოსწავლის პირადი საქმის წარმოების წესი, გარდამავალი და დასკვნითი დებულებების დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და მისი ძალადაკარგულად გამოცხადების წესი.<br>ვიზიტის დროს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 2022 წლის 25 თებერვლის ბრძანება N1-27 დებულების ცვლილების შესახებ გარკვეულ **ტექნიკურ უზუსტობებს შეიცავდა,** კერძოდ ბრძანების თანახმად ცვლილება ეხებოდა დებულების 22-ე მუხლს, რომელიც ითვალისწინებდა სკოლაში სამედიცინო კაბინეტის მოწყობის საკითხს |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების /სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტის და ,,საქართველოს ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულებებში /სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის" შესაბამისად. ამასთან დაკავშირებით სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ ექსპერტებისგან მიიღო რეკომენდაცია-დოკუმენტისათვის ბრძანების მინიჭებისას უფრო ზუსტად განისაზღვროს ბრძანების საფუძველი: კერძოდ 2022 წლის 25 თებერვლის ბრძანების საფუძველი ვერ იქნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ ზოგადსაგანმანთლებლო დაწესებულებების /სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტნადარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ. 2022 წლის 21 მარტის ბრძანება ვერ იქნება 2022 წლის 25 თებერვლის ბრძანების საფუძველი.<br>სკოლის დებულებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სკოლას შემუშავებული ჰქონდა შინაგანაწესი, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად აწესრიგებს შრომით სახელშეკრულებო ურთიერთობებს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის, განსაზღვრავს მოსწავლისა და მშობლის (კანონიერი წარმომადგენლის) უფლება-მოვალეობებს. სკოლის თანამშრომლებისა და მოსწავლეთა წახალისების და დისციპლინური დევნის დაწყების, საკითხის განხილვის, გადაწყვეტილების მიღების წესს და დისციპლინური სახდელის სახეებს. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლას ასევე შემუშავებული ჰქონდა ბიბლიოთეკის დებულება, სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესში ინტეგრირების და მშობელთან კომუნიკაციის წესი, რომელიც განსაზღვრავს მშობლებისთვის სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიწოდების ფორმებს, საშუალებებსა და პერიოდულობას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის წესდება;<br>• სკოლის დებულება;<br>• სკოლის შინაგანაწესი;<br>• სკოლის ბიბლიოთეკის დებულება;<br>• სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესში ინტეგრირების წესი;<br>• მშობელთან კომუნიკაციის წესი.<br>• ბრძანება N1-27 (25.02.2022) შპს ,,ათასწლეულის სკოლის" დირექტორის 2018 წლის 30 აგვისტოს N1-09 ბრძანებით დამტკიცებულ დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ ~~ქვესტანდარტი დარღვეულია~~ |

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული ჰქონდა ერთწლიანი (2021-2022 სასწავლო წლის) და დირექტორის მიერ 2016 წლის 12 ივლისის ბრძანება N 1-12 - ით დამტკიცებული 2016-2022 წლების ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმები, რომლებიც ითვალისწინებდა როგორც სასწავლო პროცესის, ისე მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებას და გაუმჯობესებას.<br>შპს ათასწლეულის სკოლამ ასევე წარმოადგინა 2022-2028 წლების სტრატეგიული გეგმის პროექტი. სამოქმედო გეგმის შედგენის მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და განისაზღვრა შეფასების ინდიკატორები, განხორციელების ვადები, პასუხისმგებელი პირები.<br>სკოლის სტრატეგიული მიზნებია: |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 1.სკოლის მდგრადი და ეფექტური ფუნქციონირება(ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შემუშავება, ყოველწლიური თვითშეფასება, საბიბლიოთეკო ელექტრონული მოდულის დანერგვა, მშობელთა კლუბის დაარსება, მეცნიერების, მათემატიკის და კომპიუტერული აზროვნების კათედრების ოპტიმიზაცია);<br>2.სკოლის კურიკულუმის განვითარება(შეფასების პროცესში მოსწავლეთა როლის გაზრდა, რემედიაციის პროგრამის სრულყოფა);<br>3.ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე ზრუნვა (სარემონტო/ საკონსტრუქციო სამუშაო);<br>4. ადამიანური რესურსის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;<br>5. სკოლის კურსდამთავრებულთა კლუბის შექმნა.<br>სკოლას განსაზღვრული აქვს სტრატეგიული გეგმების შეფასებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • 2020-2021 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;<br>• 2016-2022 წლების სტრატეგიული გეგმა;<br>• 2022-2028 წლების სტრატეგიული გეგმის პროექტი; |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს ათასწლეულის სკოლას შემუშავებული ჰქონდა საქმისწარმოების წესი, რომელიც ვრცელდება სკოლის ყველა სახის დოკუმენტაციაზე. საქმისწარმოების ორგანიზებას ახორციელებდა ადმინისტრაციის მენეჯერი, რომელიც აწარმოებს საერთო ბრძანებების, საკადრო ბრძანებების, მოსწავლეთა ჩარიცხვისა და ამორიცხვის, შემოსული და გასული კორესპონდენციების, შიდა და გასული დოკუმენტაციის, შრომითი, მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან დადებული ხელშეკრულებების, ფინანსური ხასიათის ხელშეკრულებების, პედაგოგიური საბჭოს ოქმების რეგისტრაციასა და აღრიცხვას, საარქივო დოკუმენტების წარმოებას.<br>ჟურნალები დანომრილი იყო, ზონარგაყრილი და დამოწმებული იყო დირექტორის მიერ. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სარეგისტრაციო ჟურნალები;<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | |
| რჩევები: | |
| ხარვეზები: | |
| სტანდარტის შეფასება | ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს ათასწლეულის სკოლას ვიზიტის პერიოდში ჰყავდა 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული საჭირო რაოდენობის მასწავლებელთა რაოდენობა(90); სკოლას ჰყავდა: მოწვეული მასწავლებელი-7, მაძიებელი-6, უფროსი-30, წამყვანი-1. სკოლის 29 მასწავლებელი იყო სტატუსის გარეშე და ემზადებოდა საგნობრივი კომპეტენციის დადასტურებისთვის მიმდინარე 2022 წელს. **სკოლამ წარმოადგინა 21თანამშრომლის მასწავლებლის გამოცდაზე რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შესაბამისად გამოცდაზე დარეგისტრირებული იყო: 16 უსტატუსო მასწავლებელი, 2 მაძიებელი, 1 მოწვეული, ხოლო 2 მასწავლებელი სტატუსის ამაღლების მიზნით დარეგისტრირებულია წამყვანი მაწავლებლის გამოცდაზე.** სკოლას ჰყავდა 12 დამრიგებელი და კლუბის მასწავლებლები(5). გარდა ამისა, 4 პედაგოგი ასრულებდა მასწავლებლის პროფესიული მომზადების 60 კრედიტიან პროგრამას.<br>სკოლის ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს წარმოადგენს: |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დირექტორი, ადმინისტრაციის მენეჯერი, შრომის უსაფრთხოების მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, 1 ფსიქოლოგი (თუმცა სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდა 3 ფსიქოლოგთან), ფინანსური მენეჯერი, სამეურნეო მენეჯერი, მარკეტინგის მენეჯერი, მასწავლებლის მხარდაჭერის პროგრამის კოორდინატორი, კლასობრივი კოორდინატორები(3), ბიბლიოთეკის მენეჯერი, საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერი, სკოლის ექიმი, იურისტი, საერთაშორისო პროგრამის კოორდინატორი, დაცვის თანამშრომელი (4), დამლაგებელი (9), მზარეული (10).<br>უნდა აღინიშნოს, რომ სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით, ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ დაწესებულებამ მიიღო **რეკომენდაცია შესაბამისობაში იქნას მოყვანილი სკოლის სტრუქტურის, საშტატო განრიგის და დებულების მიხედვით გაწერილი სტრუქტურული ერთეულები.** საქმე იმაშია, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საშტატო განრიგის თანახმად:<br>• სკოლას ჰყავდა სამეურნეო მენეჯერი, რომელიც სკოლის სტრუქტურის აღწერაში არ გვხვდებოდა. თუმცა მისი ფუნქცია-მოვალეობა აღწერილი იყო სკოლის დებულებაში;<br>• გარდა ამისა, საშტატო განრიგით განსაზღვრული იყო 1 ფსიქოლოგი, სტრუქტურის მიხედვით კი ფსიქოლოგი და ფსიქოლოგთა გუნდი. ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ექსპერტთა მიერ დადგინდა, რომ ხელშეკრულება გაფორმებული იყო 3 ფსიქოლოგთან. თუმცა სკოლის წარმომადგენელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ 2 ფსიქოლოგთან აღარ გეგმავდნენ ხელშეკრულების გაგრძელებას.<br>• ასევე საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერი, რომელიც სტრუქტურაში ბიბლიოთეკართან ერთად იყო განსაზღვრული, საშტატო განრიგში და სკოლის დებულების მიხედვით საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერი და ბიბლიოთეკარი ცალ-ცალკე ერთეულებს წარმოადგენდნენ, ხელშეკრულებით ბიბლიოთეკარსა და IT სერვისის სპეციალისტთან გაფორმებული იყო ერთი ხელშეკრულება. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სკოლის სტრუქტურაში გამორჩენილი იყო სამეურნეო მენეჯერის სტრუქტურული ერთეული, თუმცა მისი ფუნქცია-მოვალეობა აღწერილი იყო სკოლის დებულებაში. ამასთანავე ექსპერტების მიერ დაზუსტდა, რომ სკოლის ვებგვერდზე განთავსებული ათასწლეულის სკოლის სტრუქტურითაც განსაზღვრული იყო სკოლის მენეჯერი.<br>სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები გაწერილი იყო სკოლის დებულებაში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს ათასწლეულის სკოლის დებულება;<br>• საშტატო განრიგი;<br>• სკოლის სტრუქტურა;<br>• სკოლის ვებგვერდი;<br>• შრომითი ხელშეკრულებები;<br>• 2021-2022 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (საათობრივი ბადე);<br>• პირადი საქმეები;<br>• პედაგოგების საათობრივი დატვირთვის ბადე;<br>• eSchool-ის ბაზა;<br>• გასაუბრება სკოლის წარმომადგენელთან; |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 90 |
| მოწვეული/მაძიებელი | 7/6 |
| პრაქტიკოსი მასწავლებლი | 46(29 უსტატუსო, დამრიგებელი-12, კლუბის-5) |
| უფროსი მასწავლებლი | 30 |
| წამყვანი მასწავლებლი | 1 |
| მენტორის სტატუსი | 0 |

| |
|---|
| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის მასწავლებელთა ნაწილი შერჩეული იყო ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.<br>ვიზიტის პერიოდში 29 მასწავლებელი იყო სტატუსის გარეშე, რომელთაგან ნაწილი უკვე დარეგისტრირებული იყო გამოცდაზე. მაგრამ მათ შორის 12 პედაგოგი არ იყო შერჩეული ,,ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის შესაბამისად. ამიტომ ვიზიტის დროს სტანდარტის უკეთ დაკმაყოფილების მიზნით, დაწესებულებამ ექსპერტებისგან მიიღო რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ მასწავლებელთა შერჩევა განხორციელდეს კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N174/ნ, 20.08.2019წ. ბრძანების - ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ მე-3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტების შესაბამისად. ამის საფუძველზე ექსპერტთა ვიზიტის პერიოდშივე დაწესებულებამ 2022 წლის 12 ივლისს შრომითი ხელშეკრულება შეუწყვიტა იმ პედაგოგებს, რომლებიც არ იყვნენ შერჩეული ,,ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის შესაბამისად(მათ შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდათ 2022 წლის 1 სექტემბრამდე). ვიზიტის პერიოდშივე დაწესებულებამ წარმოადგინა მათთან შეწყვეტილი შრომითი ხელშეკრულების ბრძანება.<br>მასწავლებელთა პირადი საქმეები მოიცავდა პირად მონაცემებს (CV), განათლების დამადასტურებელ დოკუმენტაციას, სტატუსის შესაბამის სერტიფიკატებს (არსებობის შემთხვევაში), ცნობებს ნასამართლეობის და სქესობრივი თავისუფლების და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ, პროფესიული საქმიანობის დამადასტურებელ სერტიფიკატებს და სხვა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შრომითი ხელშეკრულებები;<br>• მასწავლებელთა პირადი საქმეები;<br>• საშტატო განრიგი;<br>• საათობრივი ბადე;<br>• პედაგოგების საათობრივი დატვირთვის ბადე; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • შპს ათასწლეულის სკოლის დებულება;<br>• შინაგანაწესი;<br>• ბრძანებები შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.<br>• გასაუბრება სკოლის წარმომადგენელთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს ათასწლეულის სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს სკოლაში თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის წესებს, რომლის მიხედვით სკოლაში მასწავლებლის სამუშაოზე აყვანა ხორციელდება ღია ან დახურული კონკურსის წესით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ-ით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების და შეწყვეტის წესის“ შესაბამისად.<br>შინაგანაწესის II და III თავებით განსაზღვრულია სკოლაში შრომითი სახელშეკრულებო ურთიერთობების რეგულირება დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის;<br>სამსახურებრივ მოვალეობათა მაღალი ხარისხით შესრულებისათვის, დასაქმებულის კეთილსინდისიერების, ასევე ინოვაციური წინადადებებისთვის, განსაკუთრებული სირთულის და/ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, დასაქმებულის მიმართ შესაძლებელია გამოყენებული იქნას წახალისების შემდეგი ღონისძიებები: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) ფულადი პრემიის გაცემა; გ) ფასიანი საჩუქრის გადაცემა. წახალისების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი.<br>შინაგანაწესი არეგულირებს მასწავლებლის/თანამშრომლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში საქმის წარმოების წესს.<br>შინაგანაწესის თავი IV მოიცავს მოსწავლის და მოსწავლის მშობლის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | (კანონიერი წარმომადგენელი) უფლება-მოვალეობების აღწერას, მოსწავლის წახალისების, მოსწავლის ქცევის წესებს და პასუხისმგებლობის ინსტრუმენტებს მათი დარღვევისთვის. მოსწავლის წახალისება ხდება წარმატებისათვის სანიმუშო ყოფაქცევის, სწავლაში მიღწეული მაღალი შედეგების და სხვა საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის. მოსწავლე ჯილდოვდება: ა) მადლობის წერილით; ბ) სიგელით; გ) დიპლომით; დ) სხვა სახის წამახალისებელი საჩუქრით. შინაგანაწესის მიხედვით განსაზღვრულია მოსწავლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში გათვალისწინებული დისციპლინური სახდელები.<br>გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული ჰქონდა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელშიც ასევე დეტალურად არის აღწერილი ადმინისტრაციული პერსონალის/მასწავლებლის მიღების წესი; თანამშრომელთა შესრულებული სამუშაოს შეფასების მექანიზმები და მათი მოტივირების ინსტრუმენტები; ასევე შრომითი ურთიერთობის დასრულების პროცედურები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შინაგანაწესი;<br>• ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;<br>• შრომითი ხელშეკრულებები;<br>• გასაუბრება ადმინისტრაციასთან. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალთან და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებული იყო ხელშეკრულებები. მასწავლებლებთან დადებული ხელშეკრულებები გაფორმებული იყო მინიჭებული სტატუსის მიხედვით; მაძიებელი მასწავლებლის სტატუსის მქონე პირებს, ხელშეკრულებით ჰქონდათ განსაზღვრული ვალდებულება - მასწავლებლად მუშაობის დაწყებიდან 2 წლის ვადაში გაიარონ მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამა. მოწვეული |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მასწავლებლების საათობრივი დატვირთვა ასევე განსაზღვრული იყო ხელშეკრულებით და მათი კვირეული დატვირთვა არ აღემატებოდა 9 საათს.<br>თითოეულ თანამშრომელზე გახსნილი იყო პირადი საქმე, რომელშიც განთავსებული დოკუმენტაციის ჩამონათვალი რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. შესაბამისად, თანამშრომელთა პირად საქმეში სხვა დოკუმენტაციასთან ერთად, უნდა ყოფილიყო სანოტარო წესით დამოწმებული განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი. თუმცა ვიზიტის დროს დაწესებულებას ჰქონდა მხოლოდ დიპლომების ასლები. ამასთან დაკავშირებით სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ შინაგანაწესში აღნიშნული პუნქტი ამოღებულ იქნა ცენტრში სკოლის მიერ საავტორიზაციო განაცხადის წარდგენის შემდეგ. დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანება შინაგანაწესის ცვლილების თაობაზე (შპს ,,ათასწლეულის სკოლის" შინაგანაწესში ცლილების შეტანის შესახებ დირექტორის 2022 წლის 15 ივნისის ბრძანება N1-29), რომლის თანახმად, თანამშრომელთა პირად საქმეში უნდა ინახებოდეს განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი.<br>შრომითი ხელშეკრულებებით განსაზღვრულია ხელშეკრულების საგანი; სამუშაოს შესრულების ადგილი; მხარეთა უფლება-მოვალეობები; შრომის ანაზღაურება და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი; კონფიდენციალობა; შვებულების ხანგრძლივობა და სარგებლობის წესი; ხელშეკრულების ძალაში შესვლა, შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა და ხელშეკრულების შეწყვეტის წესი; დასკვნითი დებულებები; მხარეთა რეკვიზიტები.<br>ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული იყო 2022 წლის 1 იანვრის თარიღით. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებასთან ინტერვიურებისას ექსპერტთა მიერ დაზუსტდა, რომ თანამშრომელთან შრომითი ხელშეკრულება უქმე დღეს ვერ გაფორმდებოდა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ეს მხოლოდ ტექნიკური შეცდომა იყო.<br>შრომითი ხელშეკრულებების ნაწილის მოქმედების ვადად |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | განსაზღვრული იყო 2021 წლის 1 სექტემბრიდან - 2022 წლის 1 სექტემბრამდე; ადმინისტრაციულ/ტექნიკურ პერსონალთან: დაცვის (4)თანამშრომლებთან, მარკეტინგის მენეჯერთან, ფსიქოლოგთან, სკოლის სამეურნეო მენეჯერთან, კაფეტერიის 9 თანამშრომელთან - 2022 წლის 1 ივლისამდე. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას მათთან განახლებული ხელშეკრულება არ წარმოუდგენია. სკოლის წარმომადგენელთა განმარტებით, ხელშეკრულებების ნაწილი გაგრძელდება ახალი სასწავლო წლისთვის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე და საჭიროების შემთხვევაში გამოცხადდება ვაკანსიები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის შინაგანაწესი;<br>• ,,შპს ,,ათასწლეულის სკოლის“ შინაგანაწესში ცვლილების შეტანის შესახებ“ შპს ათასწლეულის სკოლის დირექტორის 2022 წლის 15 ივნისის ბრძანება N1-29;<br>• საშტატო განრიგი;<br>• ათასწლეულის სკოლის დებულება;<br>• შრომითი ხელშეკრულებები;<br>• პირადი საქმეები;<br>• ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი;<br>• ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | „ათასწლეულის სკოლის“ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა შემუშავებულია სკოლის მისიის, ხედვის, საქმიანობის მიზნების და ორგანიზაციის ღირებულებების საფუძველზე და მიზნად ისახავს სკოლაში სკოლის ფილოსოფიის მატარებელი, განვითარებაზე ორიენტირებული კადრების მოზიდვას და მათ მუდმივ განვითარებას. პოლიტიკის მიზანია, მენეჯმენტის თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით, სკოლაში დანერგოს პერსონალის მოზიდვის და მართვის სამართლიანი და გამჭვირვალე სისტემა, რასაც უნდა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დაეფუძნოს სკოლის წარმატება. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის პერსონალის მართვის უწყვეტ ციკლს და არეგულირებს ისეთ ძირითად საკითხებს, როგორიცაა:<br>✓ ადამიანური რესურსის დაგეგმვა, ვაკანტურ პოზიციებზე კანდიდატების მოზიდვა, შერჩევა და დასაქმება, შრომითი ურთიერთობების რეგულირება;<br>✓ ახალი თანამშრომლების ადაპტაცია და ორგანიზაციული ორიენტაცია;<br>✓ შრომის ანაზღაურება და წახალისება;<br>✓ დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობები;<br>✓ თანამშრომელთა შეფასება და კმაყოფილების მონიტორინგი;<br>✓ პერსონალის მოტივაცია;<br>✓ პერსონალის განვითარება;<br>✓ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა.<br>,,სკოლის ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის" თანახმად, ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, სკოლაში ჩამოყალიბებული იყო ორგანიზაციული ორიენტაციის სისტემა, რომელიც მოიცავდა რამდენიმე მიმართულებას, რაც ემსახურება ახალი თანამშრომლისთვის სასკოლო კულტურის უკეთ გაცნობას და მის სოციალიზაციას.<br>პერსონალის განვითარების მიზნით, სკოლაში დანერგილია წარმატებული პრაქტიკის მუდმივად შესწავლის და ცოდნის და გამოცდილების ურთიერთგაზიარების პრაქტიკა. კათედრის წევრები მუდმივად ამუშავებენ უახლეს მეთოდურ ლიტერატურას აქტუალურ საკითხებზე და ერთმანეთს უზიარებენ ძირითად მიგნებებს. ამაში კათედრებს დახმარებას უწევს საერთაშორისო პრაქტიკის კოორდინატორი, რომელიც უზიარებს კათედრებს საერთაშორისო პრაქტიკიდან გამოცდილებას შესაბამისი ლიტერატურის მითითებით და/ან უკვე დამუშავებული რესურსით.<br>დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა სკოლის გუნდის ახალი წევრის პროფესიული განვითარების პროგრამა, რომლითაც განსაზღვრულია სტაჟიორის მიღების პროცედურები. დაწესებულებას შემუშავებული |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ჰქონდა სტაჟიორთან თანამშრომლობის პროგრამა და განსაზღვრული იყო მისი განხორციელების პასუხისმგებელი პირები; სტაჟიორის პროგრამა მოიცავს 4 თვიან პერიოდს და მისი წარმატებით დასრულების შემდეგ სტაჟიორი ხდება ,,ათასწლეულის სკოლის“ გუნდის წევრი; იწყებს საქმიანობას შერჩეულ პოზიციაზე (დამრიგებელი, საგნის მასწავლებელი, რემედიაციის ჯგუფს წევრი, კლუბის ხელმძღვანელი), რამდენადაც აღჭურვილია პროფესიისთვის საბაზისო პრაქტიკული და თეორიული ცოდნით.<br>სკოლა ორიენტირებულია იზრუნოს როგორც მასწავლებელთა, ასევე სხვა თანამშრომლების პროფესიული უნარების განვითარებაზე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შინაგანაწესი;<br>• ათასწლეულის სკოლის დებულება;<br>• საშტატო განრიგი;<br>• ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;<br>• ათასწლეულის სკოლის გუნდის ახალი წევრის პროფესიული განვითარების პროგრამა;<br>• საერთაშორისო პროექტების კოორდინატორის წლიური ანგარიში;<br>• გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან; |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასკოლო საზოგადოების წევრები (მასწავლებლები, თანამშრომლები, მოსწავლეები, მშობლები) აღნიშნავდნენ, რომ სკოლაში არის კეთილგანწყობილი, თანამშრომლობითი და მზრუნველი გარემო. ხაზს უსვამდნენ სკოლაში არსებულ ოჯახურ გარემოს, საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების საშუალებას, როგორც მოსწავლისათვის, ასევე მასწავლებლისათვის.<br>სკოლის მართვაში თანამშრომლების ჩართულობის მიზნით, სკოლა უზრუნველყოფს შიდა კვლევებს - თანამშრომელთა გამოკითხვას და |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მათი აზრის გათვალისწინებას მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში; საჭიროების შემთხვევაში - თანამშრომლების ჩართვას სკოლის მართვასთან დაკავშირებით უშუალოდ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სკოლა ატარებს თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევებს, უზრუნველყოფილია ანონიმურობა, ობიექტური უკუკავშირის მიღების მიზნით, ასევე საჭიროების შემთხვევაში თავისუფალი კომუნიკაცია და დისკუსია მენეჯმენტთან.<br>გასაუბრების დროს მოსწავლეები აღნიშნავდნენ, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა წამოაყენონ სხვადასხვა ინიციატივა, რომლებიც ძირითადად მხარდაჭერილია სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან. მაგ: ერთ-ერთი მოსწავლის მხრიდან იყო ინიცირებული ფეხბურთის კლუბის შექმნა, მშობელი კმაყოფილებით აღნიშნავდა მისი შვილის იდეის მხარდაჭერას სკოლის მხრიდან. მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის იყო ჯანსაღი, თანამშრომლობითი დამოკიდებულებები.<br>აღსანიშნავია დაწყებით საფეხურზე დისკუსიის ფორმატში მიმდინარე დილის შეხვედრების ტრადიცია დამრიგებელთან. მაგ: საკლასო შეთანხმებები, გასულ კვირაზე რეფლექსია, შესვენებებზე გასაკეთებელი აქტივობების ორგანიზება და სხვ.<br>მშობლები გამოთქვამდნენ კმაყოფილებას სკოლის კომფორტული ინფრასტრუქტურის, სასწავლო რესუსების მრავალფეროვნების, საგანთა ინტეგრირებული სწავლების, დისტანციური სასწავლო პროცესის დროს შეთავაზებული საინტერესო გაკვეთილების თაობაზე. სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს პროექტებით სწავლება.<br>სკოლის ვებგვერდზე გამოქვეყნებულია ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე აქტივობებზე და ღონისძიებებზე, პროექტულ სწავლებაზე.<br>სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს აქვს თვითრეალიზაციის და სასკოლო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის საშუალება. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის შინაგანაწესი;<br>• სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • სადამრიგებლო პროგრამა;<br>• ათასწლეულის სკოლის გუნდის ახალი წევრის პროფესიული განვითარების პროგრამა;<br>• სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრება;<br>• სკოლის ვებგვერდი. |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | |
| რჩევები: | |
| ხარვეზები: | |
| სტანდარტის შეფასება | ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1-საათობრივი ბადე;
დანართი 2-მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
დანართი 3-ფართის გამიჯვნის ბრძანება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

დანართი 4 -რუსული ენის სახელმძღვანელო;
დანართი 5-ბრძანება დებულების შეცვლის შესახებ.

(შევსების ადგილი) ქ.თბილისი
თარიღი 11.08. 2022 წ
გვერდების რაოდენობა 65



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: თამარ მიდელაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.